# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№41-42 (10044-10045) 2026 წლის 9 აპრილი, ხუთშაბათი




## ვაჩუქოთ ერთმანეთს... გაზაფხული!

## 9 აპრილი

რაულ ჩილაჩავა:

## „მეორე ფრონტის“ შიშმა ევროპული მომავლის რწმენა არ უნდა წაგვართვას!

4 5







## ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

12 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

ქრისტე აღსდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ! დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოებს და აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს: ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

### გილოცავთ დღეს – სასწაულს, რომელიც მთელი კვირა გრძელდება!





როგორც ვიქნებით, თუ არ ვენებით...

## ქანდაკოვნება თემო ნაცვლიშვილისა

10

## ნეტავი იქ თეატრი არის?!



8

კახი კავსაძე – მოზღვავებული ნიჭიერების ტალანტი

## სპექტაკლი გვაქვს უთვალავი ფერითა



9

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის თეატრში

## პროკურატურა ჯუანშერ ბურჭულაძისთვის 2.5 მილიონი ლარის ღირებულების ქონების ჩამორთმევას ითხოვს

14


ვებ-გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ბიძინა ივანიშვილმა ილჰამ ალიევს და აზერბაიჯანის დელეგაციას უმასპინძლა



**„ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესცენტრში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს და აზერბაიჯანის დელეგაციას უმასპინძლა,** – ინფორმაციას „ქართული ოცნების“ პრესსამსახური ავრცელებს.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ცნობით, ბიძინა ივანიშვილმა ილჰამ ალიევს მადლობა გადაუხადა საქართველოში ნაყოფიერი ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრული ურთიერთობა უმაღლეს ნიშნულზეა, რაც სასიკეთო და სარგებლის მომტანია ორივე ქვეყნისათვის.

**„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელობას, სატრანზიტო დერეფნის მაქსიმალურად ათვისების პოტენციალს და აღნიშნა, რომ მჭიდრო პარტნიორობა, საერთო ჯამში, ერთნაირად ემსახურება როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებს.**

**ბიძინა ივანიშვილმა ილჰამ ალიევს მადლობა გადაუხადა სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მშვიდი და სტაბილური ვითარების მხარდაჭერისთვის, ასევე აღნიშნა, რომ უსაფრთხოების გამოწვევებით აღსავსე გარემოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ორი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა მაქსიმალური ძალისხმევის ფასად შეინარჩუნონ მშვიდობა და ეკონომიკური განვითარება.**

**შეხვედრაზე საუბარი შეეხო ენერგეტიკის სექტორში მჭიდრო პარტნიორობას და სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებს, რასაც საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად ახორციელებენ. აღინიშნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც საკვანძო როლს ასრულებს რეგიონული კავშირების უზრუნველყოფაში. ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო კვლავ არის ღია აზერბაიჯანული ინვესტიციებისთვის, რაც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურ ზრდას განაგრძობს.**

**ილჰამ ალიევმა ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადაუხადა გულთბილი მასპინძლობისთვის. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, სტაბილური და საინტერესო ადგილი ინვესტიციებისთვის. პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ორმხრივ პროექტებზე, ენერგეტიკული დერეფნის მნიშვნელობასა და საქართველოს აქტიურ ჩართულობაზე აზერბაიჯანული ბუნებრივი რესურსების ექსპორტის პროცესში. ილჰამ ალიევმა დაადასტურა მზაობა, რომ ერთობლივად გაგრძელდეს მუშაობა რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. ილჰამ ალიევის ვიზიტი საქართველოში დასრულებულია“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **მარიამ ქვრივიშვილი,** საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი,** მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ლევან ჟორჟოლიანი** და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში **ზურაბ პატარიძე.**



# თქვენც სწრაფად გააიაფეთ ბენზინი, ქართველო ქორვაჭრებო!

**ირანსა და აშშ-ს შორის ორკვირიანი ზავის მიღწევის შემდეგ ნედლი ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა და ბარელზე 100 დოლარზე დაბალ ნიშნულამდე ჰუშინვცე ჩამოვიდა,** – ინფორმაციას ამის შესახებ „აქსიოსი“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ეს ერთი დღის განმავლობაში ნავთობის ფასების ყველაზე დიდი თავისუფალი ვარდნაა.

**„აქსიოსის“ ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტის წინადადებაზე დონალდ ტრამპის თანხმობის შემდეგ ბრენტის ტიპის ნედლი ნავთობის ფასი 16%-ით დაეცა და, ამჟამინდელი მონაცემით, ბარელზე 95 დოლარს შეადგენს. თუმცა, როგორც გამოცემა წერს, ეს მაინც გაცილებით მეტია, ვიდრე თებერვლის ბოლოს, რადგან ომის დაწყებამდე ნავთობის ფასი დაახლოებით 73 დოლარი იყო.**

**რაც შეეხება ამერიკული WTI-ს ტიპის ნავთობის ფასს, მედიის ცნობით, ის 14%-ით შემცირდა და ბარელზე 96 დოლარი შეადგინა.**

# არ მოტყუვდეთ!

**გაურკვეველი პირები მოქალაქეებს სთხოვენ პირადი მონაცემებისა და საბანკო ინფორმაციის გაზიარებას, რიგ შემთხვევებში სთავაზობენ ადგილზე მისვლას ან/და სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციის შესრულებას ტელეფონით.**

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) აფრთხილებს მოსახლეობას: აღნიშნული სატელეფონო ზარები არ ხორციელდება კომუნალური კომპანიების მიერ.**

**სემეკი მოუწოდებს მოქალაქეებს, მსგავსი ტიპის სატელეფონო ზარების შემთხვევაში არ გააზიარონ პერსონალური მონაცემები. საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ იმ კომუნალურ კომპანიას, რომლის სახელითაც ხორციელდება ზარი ან დაუკავშირდნენ სემეკს ქოლცენტრის ნომერზე 16 216 (ზარი უფასოა ნებისმიერი ოპერატორიდან).**

# შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს (ს/ნ 405007200) განცხადება

ASSETS MANAGEMENT AND DEVELOPMENT COMPANY

გაცნობებთ, რომ შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული ინტერესების მართვას, სწორედ აღნიშნულის ფარგლებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 04 მარტის N417 განკარგულების საფუძველზე, კომპანია უზრუნველყოფს – ქ. თბილისი, იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩა N3-ში, მდებარე 999 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N10 შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.18.04.015.013) გამოსყიდვას, შემდგომში ამავე ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხების მოწესრიგების შემდგომ, ამავე ტერიტორიაზე იგეგმება - **„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“** სამშენებლო სამუშაოები, რაც მოიცავს საკონცერტო დარბაზის, „ბავშვთა თეატრის“, მისაღები და სხვა კულტურული ღონისძიებებისთვის გათვლილი სივრცეების მოწყობას.

„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“ სამშენებლო სამუშაოების არეალში მოექცა ქ. თბილისი, იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩა N3-ში მდებარე, ქვემოთ წარმოდგენილი მოქალაქეების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები:

**1. მესაკუთრე - დარიკო პაპიაშვილი (პ/ნ 01015015373)**

| საკადასტრო კოდი | საკუთრების ტიპი | ფართი |
|---|---|---|
| 01.18.04.015.013.01.005 | ფართი N5 | 26.09 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.005ა | ბინა N5ა, სართული 1 | 15.30 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.017 | ფართი N17 | 33.65 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.017ა | სხვენი 17ა | 41.33 კვ/მ |

**3. მესაკუთრე - ტარიელ გუსეინოვი (პ/ნ 01015015477)**

| საკადასტრო კოდი | საკუთრების ტიპი | ფართი |
|---|---|---|
| 01.18.04.015.013.01.013ა | სართული 1, ბინა N13ა | 24.20 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.549 | საცხოვრებელი ფართი, სხვენ სართული | 26.50 კვ/მ |

**4. მესაკუთრე - მედიკო პაპიაშვილი (პ/ნ 01011022932)**

| საკადასტრო კოდი | საკუთრების ტიპი | ფართი |
|---|---|---|
| 01.18.04.015.013.01.524 | ფართი | 26.49 კვ/მ |

**5. მესაკუთრე - გოჰარ გასპარიანი (პ/ნ 01015013497)**

| საკადასტრო კოდი | საკუთრების ტიპი | ფართი |
|---|---|---|
| 01.18.04.015.013.01.531 | სართული 2 | 47.82 კვ/მ |
| 01.18.04.015.013.01.532 | სხვენი | 48.35 კვ/მ |

ვინაიდან, კომპანიას ამოეწურა მათთან მოლაპარაკებების ყველა რესურსი, უძრავი ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებით, კომპანიამ იმოქმედა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2026 წლის 03 აპრილის N1-1/103 ბრძანების საფუძველზე, – **„ჰეიდარ ალიევის სახელობის კულტურის ცენტრის“** მშენებლობის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიას“ მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება პროექტის ზემოქმედების ფარგლებში არსებულ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე.

# ბრძოლით ამაღლებულნი





## ვაჩუქოთ ერთმანეთს... გაზაფხული!

**აპრილს თურმე ცრემლებიც უხდება...**
**როგორც მწუხარების, ისე სიხარულის!**

**9 აპრილიც, როგორც ირკვევა, ორსახოვანია – ვითარცა უდიდესი ტრაგედიის, ისე ეროვნული გამარჯვების დამტევი.**

**რუსთაველზე ერის არნახული გაერთიანებიდან და ალესილ ნიჩბებიანი სალდაფონებისგან ქართველთა სისხლის კალოს გალეწვიდან, 37 წელი გასულა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ დედასამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან კი–35.**

**1989-ში, მართალია პატრიარქს არ დავუჯერეთ და, ნებსით თუ უნებლიეთ, თავისუფლებისთვის თვისტომთა მსხვერპლად შეწირვის თანამონაწილენი გავხდით, მაგრამ დღესაც გვწამს, რომ ბოროტების იმპერიას საყრდენი ჩვენ გამოვაცალეთ.**

**სხვათა შორის, მუზები არ დუმან და მაშინვე შეიქმნა მორის ფოცხიშვილის ჟრუანტელისმომგვრელი პოეზია და გაჟღერდა ჯემალ სეფიაშვილის უკვდავი ჰანგები, ერთმანეთისთვის ტკივილიანი გაზაფხულის ტიტები რომ გვაჩუქებინა.**

**ასეა – მოგებისა და წაგებისა არ იყოს, დაცემა და ამაღლება ძმები არიან!**
**ბრძოლით ამაღლებას ყოველთვის აქვს აზრი!..**







**ირაკლი კობახიძე:**

## გადავხედეთ ანაკლიის ღრმაწყლოვანს... და დავზოგეთ 52.5 მლნ დოლარი



**საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი მაქსიმალურად ხარჯეფექტიანად, მინიმალური საბიუჯეტო დანახარჯებით განხორციელდება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, **გასული რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელდა არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში გასაწევი სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტთან დაკავშირებით.**

**სხვა ხელშეკრულებებთან ერთად, ასევე გადავხედეთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის დაღრმავებასთან და ტალღამტეხის მოწყობასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას, რომლის პირვანდელი ღირებულება იყო 203.9 მილიონი დოლარი. ასევე, გადავხედეთ ხელშეკრულებას ზედამხედველ კომპანიასთანაც. შედეგად, პროექტის ღირებულება 25 %-ზე მეტით შემცირდა – 52.5 მლნ დოლარით. შედეგად, უახლოეს დღეებში აქტიურად განახლდება სამშენებლო პროცესი ანაკლიაში ბევრად უფრო შემცირებული ხარჯებით. საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი მაქსიმალურად ხარჯეფექტიანად, მინიმალური საბიუჯეტო დანახარჯებით განხორციელდება. მინდა, მადლობა გადავუხადო ეკონომიკის მინისტრს და მის გუნდს, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტს ამ შემთხვევაში 52.5 მლნ დოლარი დაუზოგა“.**

## 157 კომპანიას პირობით ეპატია მილიარდი ლარის ჯარიმები!

**კომპანიების ნაწილმა უარი თქვა შეთავაზებით სარგებლობაზე. შედეგად, შეწყდება 535 მეგავატის პროექტები, თუმცა გაგრძელდება 1560 მეგავატი პროექტების განხორციელება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, ენერგეტიკას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

**„როგორც მოგეხსენებათ, ორიოდე თვის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, ენერგეტიკული კომპანიებისთვის ჯარიმებისა და საურავების პირობით დათქმით პატიების შესახებ და ეს პროცესი უკვე დასრულდა. მთლიანობაში, 157 კომპანიას პირობით ეპატია მილიარდი ლარის ჯარიმები. კომპანიების ნაწილმა უარი თქვა შეთავაზებით სარგებლობაზე. შედეგად, შეწყდება 535 მეგავატის პროექტები, თუმცა გაგრძელდება 1560 მეგავატი პროექტების განხორციელება. ბუნებრივია, საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება ახალ იმპულსს მისცემს ენერგეტიკის სექტორის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

## სამგზავრო გადაყვანები გახდება უფრო კომფორტული და სწრაფი!

**საქართველოს რკინიგზამ შეიმუშავა განვითარების 2026-2028 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით, ჩვენ შევისყიდით 50 ახალ ლოკომოტივს, ასევე 1 500 ახალ ვაგონს, დავნერგავთ თანამედროვე სარკინიგზო სისტემებს, რის შედეგადაც გაუმჯობესდება საოპერაციო პროცესები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაორმაგდება საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა.**

ორი მილიონიდან ხუთ მილიონამდე გაიზრდება მგზავრთა გადაყვანის წლიური მაჩვენებელი.

**„შევისყიდით ათ ახალ სამგზავრო მატარებელს, ამის შედეგად ყველა მაგისტრალური რეისი შესრულდება ახალი მატარებლებით, სამგზავრო გადაყვანები გახდება გაცილებით კომფორტული და სწრაფი როგორც ჩვენი მოქალაქეებისთვის, ისე ქვეყნის სტუმრებისთვის. ორი მლნ-დან ხუთ მლნ-მდე გაიზრდება მგზავრთა გადაყვანის წლიური მაჩვენებელი“,** – აღნიშნა პრემიერმა.

# გამოვიჩინოთ დიპლომატიური გონიერება

**რუსეთ-უკრაინის ომზე აქამდე სულ ჩემი კიეველი ფინია წერდა. „ჩაპას წერილები მსოფლიოს ქალებს და ადამიანებს“ უკვე გამოვიდა ცალკე წიგნებად ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე. სანამ ჩაპა ახალ წიგნზე მუშაობს, გადავწყვიტე, მეც შევეხო თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანეს თემას. ამთავითვე ვიტყვი: აქამდე მოძმე ორი ერის ომი არ არის მხოლოდ ლოკალური კონფლიქტი; ეს არის ფუნდამენტური ბრძოლა საერთაშორისო წესრიგისა და იმ ღირებულებებისთვის, რომლებზეც თანამედროვე ცივილიზაცია დგას.**

**რაულ ჩილაჩავა,**

მწერალი, დიპლომატი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



# „მეორე ფრონტის“ შიშმა ევროპული მომავლის რწმენა არ უნდა წაგვართვას!

**საქართველოსთვის ეს ომი განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ 2008 წელს გახდა იმავე აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლი, რომელსაც დღეს უკრაინა გმირულად უპირისპირდება. ჩვენ აღმოვჩნდით გეოპოლიტიკურ ლაბირინთში: ერთი მხრივ, არსებობს ევროატლანტიკური მისწრაფება და სოლიდარობა უკრაინის მიმართ, მეორე მხრივ კი – ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომავალი პირდაპირი სამხედრო საფრთხე.**

რუსული „რბილი ძალა“ და ჰიბრიდული ომის მეთოდები მუდმივად ცდილობს ქვეყნის შიგნით პოლარიზაციის გაღრმავებასა და დასავლური კურსის დისკრედიტაციას. ამ ვითარებაში, საქართველოს როლი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უსაფრთხო დერეფნისა, კიდევ უფრო კრიტიკული ხდება. საინფორმაციო გამოშვებებში უკრაინის დანგრეული ქალაქებისა და გადამწვარი სოფლების ხილვა ქართველებისთვის მხოლოდ ვიდეოკადრები არ არის. ესაა საკუთარი წარსულის გაცოცხლება – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტრაგედიების ექო. საქართველომ ათასობით უკრაინელი შეიფარა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენს საერთო ბედსა და მორალურ პასუხისმგებლობას.

## საქართველო გლობალური ქარიშხლის ფონზე: გამოწვევები და არჩევანი

როგორია საქართველოს პერსპექტივა ამ ქაოსში? გამოსავალი მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით შეიძლება მოიძებნოს.

**აუცილებელია სტრატეგიული სიმტკიცე: ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი უნდა იქცეს რეალური რეფორმების ძრავად და არა მხოლოდ პოლიტიკურ ლოზუნგად. გვჭირდება უსაფრთხოების ახალი გარანტიები ანუ პარტნიორებთან მუშაობა თავდაცვისუნარიანობის ისეთ დონემდე ასამაღლებლად, რომელიც ნებისმიერ აგრესიას აზრს დაუკარგავს.**

უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური დამოუკიდებლობაც: რუსული ბაზრის ალტერნატივების მოძიება და „შუა დერეფნის“ პროექტის მაქსიმალური ათვისება. უკრაინის გამარჯვება და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პირდაპირ კავშირშია საქართველოს დეოკუპაციასა და სტაბილურობასთან. ჩვენი ქვეყნისთვის ეს პერიოდი არის გამოცდა – შევძლებთ თუ არა შევინარჩუნოთ მშვიდობა ისე, რომ არ დავთმოთ ჩვენი ღირსება და ევროპული მომავალი.

გამოსავალი ერთიანობაშია: როგორც შიდაპოლიტიკურ, ისე საერთაშორისო დონეზე პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციაში. საქართველო გლობალური რეფორმაციის ეპიცენტრშია. დღეს, როდესაც უკრაინის მიწაზე XXI საუკუნის ყველაზე სასტიკი ომი მიმდინარეობს, საქართველო არ არის მხოლოდ დამკვირვებელი. ჩვენ ვართ ამ ისტორიული დრამის უშუალო მონაწილენი, რადგან ის, რაც ახლა კიევთან, ხარკოვთან თუ ბახმუტთან ხდება, პირდაპირ განსაზღვრავს თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის მომავალს.

მსოფლიომ არ უნდა დაივიწყოს 2008 წლის გაკვეთილები და არ უარყოს გლობალური პასუხისმგებლობა. პირიქით, მან უნდა აღიაროს, რომ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია არის 2008 წელს რუსეთის დაუსჯელობის პირდაპირი შედეგი. მსოფლიოს მაშინდელი „რბილი“ რეაქცია და ამერიკის „გადატვირთვის“ პოლიტიკა კრემლმა აღიქვა, როგორც მათი სისუსტე და ამასთანავე ნებართვა საზღვრების ძალის გამოყენებით შესაცვლელად.

ჩვენი გზავნილი პარტნიორებისადმი ნათელია: მშვიდობა ევროპაში ვერ იქნება სრული და მდგრადი, თუ ის არ მოიცავს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. დაუშვებელია უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ისე ჩამოყალიბება, რომ საქართველო კვლავ დარჩეს „ნაცრისფერ ზონაში“.

ევროინტეგრაცია ჩვენთვის არა მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი, არამედ ფიზიკური გადარჩენის გარანტიაცაა. აქვე შევნიშნავ: ქართველ საზოგადოებას სჭირდება შიდა სიმტკიცე, სტრატეგიული მოთმინება, ერთიანობა და ცივი გონება. „მეორე ფრონტის“ შიშით მანიპულირება არ უნდა გახდეს ჩვენი ევროპული მომავლის დათმობის მიზეზი.

მეტად მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული სოლიდარობა: ის, რაც ქართველმა ხალხმა უკრაინელი ლტოლვილებისთვის გააკეთა, არის ჩვენი საუკეთესო პასუხი რუსეთის აგრესიაზე. ესაა ჩვენი ეროვნული ღირსების საკითხი.

ცხადზე უცხადესია ისიც, რომ ინსტიტუციური თავდაცვის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. ომი მხოლოდ ფრონტზე არ მიმდინარეობს. ჩვენი ბრძოლის ხაზი გადის ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებზე, თავისუფალ მედიასა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე.

ჩვენ, ვისაც გამოვლილი გვაქვს დევნილობისა და ოკუპაციის სიმწარე, ყველაზე უკეთ გვესმის უკრაინის ტკივილი. ეს საერთო ტრავმა უნდა იქცეს საერთო გამარჯვების საძირკვლად. ჩვენი მიზანი არა მხოლოდ გადარჩენაა, არამედ განვითარებაც. ამისთვის კი საჭიროა სტრატეგიული მოკავშირეობა – აშშ-სთან, ევროკავშირთან და ნატოსთან თანამშრომლობის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადაყვანა, რათა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა იყოს შეკავების რეალური ინსტრუმენტი.

გამოსაყენებელია შუა დერეფნის პოტენციალი და გასაზრდელია საქართველოს როლი ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში. **ჩვენ უნდა ვიყოთ არა პრობლემების წყარო, არამედ გლობალური გადაწყვეტილებების ნაწილი.** მე ასე მესმის დეოკუპაციის მშვიდობიანი ფორმულა: **უკრაინის ომის დასრულებისას, საერთაშორისო დღის წესრიგში მკაცრად უნდა დადგეს რუსეთის ვალდებულება – გაიყვანოს ჯარები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.** ისტორია არ გვპატიობს ყოყმანს გადამწყვეტ მომენტებში. დღეს საქართველო დგას იქ, სადაც ცივილიზაციური არჩევანი კეთდება. ჩვენი გზა ევროპისკენ, არის გზა მშვიდობისკენ, ჩვენი სოლიდარობა უკრაინისადმი – ჩვენი ერთგულება საკუთარი თავისუფლებისადმი.

**ისტორია ზოგჯერ დაუნდობელი გამეორებაა. დღეს, როდესაც უკრაინის ცაზე ცეცხლისა და ფოლადის წვიმა მოდის, საქართველოში ჰაერი 2008 წლის აგვისტოს სუნით ივსება. ეს არ არის მხოლოდ გეოპოლიტიკური ძვრები; ეს არის ორი ერის საერთო გოლგოთა, სადაც თავისუფლების ფასი სისხლითა და სიმტკიცით იზომება.**



უკრაინელი დევნილები საქართველოში

მსოფლიომ უნდა გააცნობიეროს: უკრაინის ჭრილობები საქართველოს ძველი იარების გაგრძელებაა. ჩვენი გზავნილი სამყაროსადმი მარტივია: თავისუფლება არ არის განაწილებადი სიკეთე. ის ან ყველასია, ან – არავისი. ევროპული ოჯახი ვერ იქნება სრულყოფილი, სანამ მის აღმოსავლეთ კიდეზე, შავი ზღვის ორსავე ნაპირას, ადამიანები საკუთარი არჩევანის გამო იხოცებიან.

**საქართველო არ არის მხოლოდ წერტილი რუკაზე; ის არის ევროპული სულის უკიდურესი ფორპოსტი, რომელიც დღეს უკრაინასთან ერთად სუნთქავს. ქართველი საზოგადოებისთვის უკრაინა დღეს სარკეა. ჩვენ ვხედავთ მათ ნანგრევებში ჩვენს დანგრეულ სახლებს, მათ დევნილებში – ჩვენს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. როდესაც ქართველი ხალხი უკრაინელ დევნილს კარს უღებს, ის ამით საკუთარ წარსულს მკურნალობს. ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება; ეს არის ეროვნული ღირსების აქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ოკუპაციამ ჩვენში ადამიანი ვერ მოკლა. ჰოდა, ნუ მივცემთ შიშს უფლებას, წაგვართვას მომავლის რწმენა. თავისუფლება ყოველთვის რისკია, მაგრამ მონობა – გარანტირებული განადგურება.**

პრობლემების გადაჭრა არ ხდება მხოლოდ კაბინეტებში. ის ხდება იქ, სადაც სიმართლე ძალაზე მაღლა დგება. დეოკუპაცია მხოლოდ ჯარების გაყვანა როდია; ესაა სამართლიანობის დაბრუნება სოხუმში, ცხინვალში, მარიუპოლსა და ყირიმში. საქართველო თავის არჩევანს აკეთებს არა შიშით, არამედ სიყვარულით – თავისუფლებისა და იმ საერთო ღირებულებების მიმართ, რამაც საუკუნეები გამოგვატარა. ჩვენი სოლიდარობა უკრაინისადმი ჩვენი ლოცვაა და ჩვენი ბრძოლა ხვალინდელი დღისთვის. ესაა საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს ობიექტურ, „ცივ“ ანალიზს, რადგან სწორედ აქ გადის ზღვარი ემოციურ სოლიდარობასა და სახელმწიფოებრივ პრაგმატიზმს შორის.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ,რომ ომმა ერთგვარი „დიპლომატიური ყრუ კედელი“ აღმართა თბილისსა და კიევს შორის, რაც რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზით არის განპირობებული, მათ შორის უპირველესად ტოტალური ომის ეგზისტენციალური შიშით. უკრაინისთვის ეს არის გადარჩენის ომი, სადაც მოქმედებს პრინციპი: „ყველაფერი ან არაფერი!“ შესაბამისად, კიევის მოლოდინი პარტნიორების მიმართ მაქსიმალისტურია: იარაღი, სანქციები და მკაფიო პოზიციონირება. **საქართველოს მთავრობისთვის კი, 2008 წლის გამოცდილების ფონზე, მთავარი პრიორიტეტი „ომის აცილებაა“.** თბილისის მხრიდან გატარებული „ფრთხილი პოლიტიკა“ კიევში ხშირად აღიქმება როგორც არასაკმარისი სოლიდარობა ან თუნდაც რუსეთის მიმართ







# მთავრობები მოდიან და მიდიან, ჩვენს ორ ერს შორის არსებული ისტორიული და სულიერი კავშირი კი იმდენად ღრმაა, რომ ის ნებისმიერ პოლიტიკურ კრიზისს გაუძლებს.

„ლოიალობა“. მთავარი გამყოფი ხაზი გახდა სანქციების და „მეორე ფრონტის“ საკითხი. უკრაინა ღიად მოუწოდებდა საქართველოს, შეერთებოდა ეკონომიკურ სანქციებს და უფრო აქტიური ყოფილიყო სამხედრო-პოლიტიკური კუთხით. თბილისის პასუხი იყო მკაფიო: სანქციები დააზიანებდა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკას და ვერ შეაჩერებდა რუსეთს. „მეორე ფრონტის“ რიტორიკამ კი, რომელიც თბილისმა კიევის ზოგიერთი მაღალჩინოსნის განცხადებებიდან ამოიკითხა, ურთიერთობები უკიდურესად დაძაბა.

**აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ე.წ. „მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი“. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის პატიმრობა და მისი მჭიდრო კავშირი უკრაინის ხელისუფლებასთან (როგორც უკრაინის მოქალაქის და მაღალჩინოსნის) მუდმივად რჩება პოლიტიკური ვაჭრობისა და ურთიერთბრალდებების საგნად. (მართალია, საქართველოს საზოგადოებამ ბოლომდე ვერ გაიგო, რატომ იცავენ უკრაინის სახელმწიფო მოღვაწეები და რატომ ეგზომ ზრუნავენ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე, რომელსაც ყოველი მათ წინაშე რა განსაკუთრებული დამსახურებებისთვის?) სამწუხაროდ, ეს პერსონალური განზომილება ხშირად ჩრდილავს ჩვენს საერთო სტრატეგიულ ინტერესებს.**

ამ „დაფარული კონფლიქტის“ ხილული ნაწილი გახდა დიპლომატიური კრიზისი, ელჩების გაწვევა და დემარშები. კიევისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პოზიცია ზოგიერთ საერთაშორისო პლატფორმაზე, ხოლო თბილისისთვის – უკრაინის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა **„დემოკრატიული უკანდახევის“** გამო. ეს არის კონფლიქტი ტაქტიკებს შორის, თორემ ორივე ქვეყნის სტრატეგიული მიზანი ერთია – **ევროპული ოჯახი და დეოკუპაცია, თუმცა ამ მიზნისკენ მიმავალ გზას კიევი ხედავს მაქსიმალურ წნეხსა და ბრძოლაში, ხოლო თბილისი – მაქსიმალურ სიფრთხილესა და რისკების არიდებაში.**

ეს გაუცხოება ყველაზე მეტად რუსეთის ინტერესებში შედის, რადგან „დაყავი და იბატონე“ იმპერიული პოლიტიკის კლასიკური იარაღია.

რამდენად შესაძლებელია ამ პოლიტიკური ბზარის გამთელება მანამ, სანამ ომი აქტიურ ფაზაშია? ეს უკიდურესად რთული, თუმცა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აუცილებელი ამოცანაა. აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ დიპლომატიურ გაუგებრობასთან, არამედ „ემოციურ ასიმეტრიასთან“, რომელიც ორ დედაქალაქს შორის გაჩნდა. მოდით, ვნახოთ, რა ფაქტორები უშლის ხელს ამ პროცესის დაძლევას და სად შეიძლება იყოს გამოსავალი. ორივე მხარე საკუთარი შიდა აუდიტორიის წინაშე გარკვეული ნარატივების ტყვეობაშია.

თბილისისთვის უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის კრიტიკა, არც თუ უსაფუძვლოდ, „სუვერენიტეტში ჩარევად“ აღიქმება, ხოლო კიევისთვის თბილისის სიფრთხილე – „ღალატის“ ტოლფასია (ჩემი აზრით, გადაჭარბებულად).

ამ რიტორიკული ჩიხიდან გამოსვლას სჭირდება ე.წ. „სახის შენარჩუნების“ სტრატეგია, რაც ომის პირობებში იშვიათი ფუფუნებაა. **სააკაშვილის ფაქტორი ამ ურთიერთობებში „ნაღმივითაა“. მანამ, სანამ ეს თემა პოლიტიკური ვაჭრობის საგანია, კიევსა და თბილისს შორის სრულფასოვანი ნდობის აღდგენა საკმაოდ რთულია.**

მიუხედავად დაძაბულობისა, მაინც არსებობს და ვითარდება „ჩუმი დიპლომატია“ ანუ, საჯარო ბრალდებების პარალელურად თანხვედრაშია უსაფრთხოების საერთო ინტერესები. ტერორიზმის პრევენცია, რუსული გავლენების მონიტორინგი და ინფორმაციის გაცვლა ის სფეროებია, სადაც პროფესიულ დონეზე კავშირი არ უნდა გაწყდეს. ევროპული გზა,ანუ ბრიუსელი დღეს ის ადგილია, სადაც თბილისმა და კიევმა ერთ ენაზე უნდა ილაპარაკონ. ჰუმანიტარული დიპლომატია ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა ურთიერთობების შესანარჩუნებლად.



სააკაშვილის ფაქტორი ამ ურთიერთობებში „ნაღმივითაა“

საქართველოს მხრიდან უკრაინელი ბავშვების რეაბილიტაცია, გენერატორებით დახმარება და ლტოლვილების მიღება გახლავთ ის ე.წ. „რბილი ძალა“, რომელიც კიევში პოლიტიკურ ელიტაზე მეტად ხალხის განწყობაზე მოქმედებს. **ცხადია, ომის აქტიურ ფაზაში სრული იდილიის აღდგენა ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა „ცივი მშვიდობის“ შენარჩუნება შესაძლებელია.** ნამდვილი გამთელება დაიწყება მაშინ, როდესაც უკრაინა გადავა აღდგენის ფაზაში, სადაც საქართველოს, როგორც ტრანზიტულ ჰაბს და ეკონომიკურ პარტნიორს, ახალი ფუნქცია ექნება. **დასავლეთი შექმნის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურას და საქართველო უკრაინის პარალელურად ერთიანი თავდაცვითი სივრცის ნაწილი გახდება.** მათ შორის პოლიტიკური ბზარი, როგორც ზემოთ შევნიშნე, დღეს არის ტაქტიკური, მაგრამ ჩვენი მეგობრობა არის ონტოლოგიური (არსებობითი).

მთავრობები მოდიან და მიდიან, ჩვენს ორ ერს შორის არსებული ისტორიული და სულიერი კავშირი კი იმდენად ღრმაა, რომ ის ნებისმიერ პოლიტიკურ კრიზისს გაუძლებს. ჩვენი ამოცანაა, ამ „პოლიტიკურმა ყინულმა“ არ დააზიანოს ხალხების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამიტომ **აქ დასახელებული ფაქტები უნდა გავიგოთ არა როგორც ბრალდება, არამედ როგორც დროებითი გაუგებრობა საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე. დღეს, როდესაც უკრაინის მიწაზე თავისუფლებისთვის ბრძოლის უმძიმესი ეპოსი იწერება, საქართველო ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი კავშირი არაა მხოლოდ გეოპოლიტიკური მოცემულობა – ეს გახლავთ ისტორიული და სულიერი ნათესაობა, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დგას.**

**საქართველოს თავდაცვის საუკეთესო გზა გადის სტრატეგიულ მოთმინებაზე, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების მინიმუმამდე დაყვანა.**

სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით ჩვენს სახელმწიფოებს მართებთ დიპლომატიური გონიერება, რაც გულისხმობს ხიდის გადებას ემოციასა და პრაგმატიზმს შორის.

მოვუწოდებ ორივე ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას დიპლომატიური გონიერებისკენ, რათა ომის პირობებში მაქსიმალისტურმა მოლოდინებმა და შიდაპოლიტიკურმა დღის წესრიგმა არ დაჩრდილოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა.

დადგა ისეთი დრო, როცა ჩვენი ქვეყნების მეგობრობა მკაცრ გამოცდას გადის. მთავრობები იცვლებიან, მაგრამ ერების ნება ურყევია. ჩვენი გზა ევროპისკენ არის გზა თავისუფლებისკენ, სადაც საქართველო და უკრაინა, როგორც თანასწორი და სუვერენული სახელმწიფოები, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებენ. ჩვენ ვირჩევთ არა შიშს, არამედ დიპლომატიურ გონიერებასა და მუდმივ სოლიდარობას. რადგან მხოლოდ ერთიანობას შეუძლია, შესაძლებელი გახადოს ის „ნათელი ხვალე“, როცა შავი ზღვა მშვიდობისა და თავისუფლების სიმბოლო გახდება.

ომის დასრულების შემდეგ რეგიონის მომავალი რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ გზაჯვარედინზე დგას. რადგან ჩვენი წერილი „დიპლომატიურ გონიერებასა“ და რეალიზმზეა დაფუძნებული, მოდით, გავაანალიზოთ ორივე უკიდურესი წერტილი, რაც პირდაპირ აისახება საქართველოზეც.

**ოპტიმისტური სცენარი ანუ „ევროპული რენესანსი“:** ეს სცენარი ეფუძნება უკრაინის სრულ გამარჯვებას (საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში დაბრუნებას) და რუსეთის იმპერიული ამბიციების კრახს.

**ამ დროს ჩნდება საქართველოს დეოკუპაციის შანსი: დასუსტებული რუსეთი იძულებული ხდება, გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან. საერთაშორისო სამართალი ხდება ერთადერთი ლეგიტიმური ინსტრუმენტი და იწყება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მშვიდობიანი რეინტეგრაციის პროცესი.**

**კეთდება „დიდი ნახტომი“ უსაფრთხოების სფეროში: უკრაინა და საქართველო ხდებიან ნატოსა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები. შავი ზღვა იქცევა „მშვიდობის ტბად“, სადაც ენერგეტიკული და სატრანსპორტო მაგისტრალები (შუა დერეფანი) მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს. დემოკრატიული კონსოლიდაცია: გარე საფრთხის გაქრობა ხელს უწყობს შიდა პოლარიზაციის დასრულებას. საქართველო ყალიბდება რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად.**

**პესიმისტური სცენარი: „ნაცრისფერი ზონის კონსერვაცია“. ეს სცენარი გულისხმობს ომის „გაყინვას“ ან რუსეთის მიერ გარკვეული ტერიტორიული მიღწევების შენარჩუნებას, რაც ქმნის დაუსრულებელი არასტაბილურობის განცდას.**

**მუდმივი ეგზისტენციალური საფრთხე: საქართველო რჩება „ბუფერულ ზონად“. რუსეთი აძლიერებს ჰიბრიდულ ომს, რათა არ დაუშვას ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის საფრთხე მუდმივად ჰაერში კიდია.**

**ეკონომიკური სტაგნაცია და მიგრაცია: გაურკვევლობა აფრთხობს ინვესტიციებს. გრძელდება ინტელექტუალური რესურსის გადინება ქვეყნიდან, ხოლო რუსული კაპიტალის გავლენა ეკონომიკაზე კრიტიკულ ზღვარს აღწევს.**

**შიდა ეროზია: პოლიტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო ღრმავდება. საზოგადოებაში ჩნდება ნიჰილიზმი დასავლური სტრუქტურების მიმართ, რადგან მათ ვერ შეძლეს რეგიონში სამართლიანობის აღდგენა.**

**ამგვარად, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური გამოწვევაა, არამედ უდიდესი მორალური გამოცდაც.** საქართველო და უკრაინა დღეს ერთმანეთის ბედის ანარეკლები არიან – ჩვენი წარსული მათი აწმყოა, ხოლო მათი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციის ერთადერთი რეალური შანსი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოსავალი არც ცალმხრივ რადიკალიზმშია და არც პასიურ მოლოდინში.

საქართველოს თავდაცვის საუკეთესო გზა გადის სტრატეგიულ მოთმინებაზე, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების მინიმუმამდე დაყვანა.

სუვერენიტეტი იზომება არა ლოზუნგებით, არამედ მდგრადობით. აუცილებელია დიპლომატიური სინქრონიზაცია: მიუხედავად დროებითი ტაქტიკური აცდენებისა, თბილისმა და კიევმა საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი ხმით უნდა მოითხოვონ უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა.

**ბრიუსელსა და ვაშინგტონში ჩვენი ხმა მხოლოდ მაშინ იქნება გადამწყვეტი, თუ ის საერთო ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში გაჟღერდება. ჩვენი მიზანია მშვიდობა, მაგრამ არა თავისუფლებისა და ეროვნული ღირსების დათმობის ხარჯზე. მუდმივი შეძახილები, თითის ქნევა და წარამარა ჭკუის სწავლება ე.წ. დასავლელი პარტნიორებისგან, ჩემი აზრით, არაა მიზნის მისაღწევი უმოკლესი გზა.**

დღეს, როდესაც მსოფლიო წესრიგი იცვლება, საქართველომ მტკიცედ უნდა განაცხადოს: ჩვენი ადგილი იქაა, სადაც ცივილიზებული სამყაროს საზღვარი გადის – თავისუფალ, ერთიან და მშვიდობიან ევროპაში.

**მზე მართლაც ამოვა შავ ზღვაზე, მაგრამ ამ სინათლეს მხოლოდ ის ერები იხილავენ, რომლებმაც ქარიშხლის დროს სიმტკიცე და ერთმანეთისადმი ერთგულება შეინარჩუნეს. ეს არის ჩვენი ისტორიული მისია და ეს არის ჩვენი ერთადერთი სწორი არჩევანი.**

2026 წლის მარტი



ამ წერილის სათაურს ორი ავტორი ჰყავს, – გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი და – მე, ჩემს გვარს ბოლოს გავამჟღავნებ, იმიტომ, რომ შპენგლერის გვერდით, ამ კონტექსტში, საკუთარი გვარის მოხსენიება, ნამეტანი თავხედობა იქნებოდა!..

შპენგლერმა ასი წლის წინ გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით „ევროპის დაისი“; გერმანულად როგორ ითქმის ეს, არ ვიცი, მაგრამ რუსულად ასე ჟღერს – „Закат Европы“, ქართულად კი რომანტიკული ნიუანსი აქვს ამ თარგმანს – „ევროპის დაისი“. როგორც გერმანული ენის მცოდნენი მეუბნებიან, გერმანულ ენაზე იგი ნამეტნავად მიწიერია – „ევროპის გზის ჩასვენება“.

ახლა რომ წამოახედა, ცხონებული შპენგლერი, ასე დაარქმევდა თავის წიგნს – „წკვარამი ევროპაში“, ან „ევროპა წკვარამში“. ამით კი არაფერი იცვლება, მაგრამ ევროპის ზნეობრივ-გონებრივ დეგრადაციასა და ორიენტაციების არევდარევას კარგად მიესადაგება.




ვსო და ოპოზიციური პარტიების ლიდერებს ეცნენ (ნიკა გვარამიას!) ჟურნალისტები და „ჩამჭრელი“ კითხვა დაუსვეს: აბა, გვითხარით, თქვენი აზრით რამდენი სქესი არსებობსო. ეს ერთგვარად ნიშნისმოგებაც იყო, მათი აზრით! ნიკა გვარამია ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობითა და ანტიეროვნული შეხედულების გამო მიგვაჩნია მიუღებელ პიროვნებად, თორემ გაუნათლებელი კი არ არის! ჰო, და მანაც მშვიდად უპასუხა აჭყლოპინებულ ჟურნალისტებს: სქესი მხოლოდ ორი არსებობს, რაც თქვენ გინდოდათ გეკითხათ, გენდერი სხვა რამეა და არა სქესიო. ე. წ. ჟურნალისტები პირდაღებულები დარჩნენ.

გენდერი, ჩემო ბატონებო, არის საკუთარი სქესის ინდივიდუალური აღქმა, თორემ ქალისა და კაცის თანასწორობა საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში იყო აღიარებული, ხოლო ევროპაში ასეთი თანასწორობა XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დააკანონეს. აი, კაცს რომ თავი ქალად მიაჩნია და გათხოვება უნდა, ანდა მეორე კაცს სექსი პატარა ბავშვებთან (ბიჭთან თუ გოგოსთან) უნდა და არა ზრდასრულ ადამიანთან (პედოფილია), ანდა მიცვალებულთან (ნეკროფილია), თუ ცხოველებთან (ზოოფილია), ხეებთან ან ბუჩქებთან (ეკოფილია); აი, ეს არის გენდერული მრავალფეროვნება და ისინი ნორმალურ ადამიანებად და ჩვენს თანასწორებად უნდა მივიჩნიოთ!

**აი, ეს უბედურება სჭირს ევროპას! სხვა უბედურებებს აღარ ჩამოვთვლი, რაც ევროპას შეეყარა! ჩვენ კი დღენიადაგ ვიმეორებთ: ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანი ევროპაში ინტეგრაციააო, რადგან ჩვენ ევროპელები ვართ და ევროპული ცივილიზაციის ნაწილიო.**

**სრული სიყალბეა ეს! არავითარი ევროპელები ჩვენ არ ვართ და არც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი ვყოფილვართ ოდესმე, თუ ღმერთმა არ გაგვწირა და ახლა გავხდით ევროპის ნაწილი, იმ ევროპისა, რომლის მზის ჩასვენება ასი წლის წინ დაინახა ოსვალდ შპენგლერმა.**

# ევროპის დაისი,

# ანუ გარდაუვალი კატასტროფა!

**ევროპა ბევრ რამეში სანიმუშო იყო, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ბევრი სხვისთვისაც, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ლამაზმა და წარმოსადეგმა კაცმა პრეზიდენტმა ცოლად შეირთო მასსავით კარგი შეხედულების კაცი, როგორღა იქნება ის ქვეყანა სანიმუშო, სხვა, ჭკუთმყოფლებით დასახლებული ქვეყნისათვის. ეს ჩემი ნათქვამი ვინც დისკრიმინაციის მცდელობად მიიღოს, იმას დაუჯდეს სახლში მამრობითი სქესის რძალი! არ დაახვევს შვილიშვილებს თავზე?!**

ერთნაირსქესიანთა სქესობრივი ურთიერთობების დაკანონება ევროპასა და ზოგიერთ არაევროპულ ქვეყანაში „ცივილიზაციისა და კულტურის“ მართლა თანამედროვე „მიღწევა“ კი არ არის, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ მისი წინამძღვრები საუკუნეების წინ შეიქმნა, ძირითადად ევროპულ სივრცეში. იგი სატანისტური იდეოლოგიის აღმავლობისთვის უწმინდური ძალების ღმერთთან ბრძოლის გამოვლინებაა. ვიდრე ათეიზმი არ გაბატონდა და ათეისტების პროგრესულობა არ დაიჯერა ხალხის უმრავლესობამ, მანამდე სატანისტები წარმატებას ვერ აღწევდნენ, მაგრამ როგორც კი ღმერთს ზურგი აქცია ხალხის ერთმა ნაწილმა, სატანიზმი ბევრგან გამოვიდა სააშკარაოზე. მან სხვადასხვა სახით მოახერხა გამოვლინება, კერძოდ რევოლუციებისა და რასიზმის სახით. „ღმერთი არ არის, მაშასადამე ყველაფერი დასაშვებია!“ – აი, ამას ჩააგონებდნენ სატანისტები მერყევი რელიგიური რწმენის ადამიანებს, განსაკუთრებით, მოზარდებსა და ახალგაზრდობას.

**ჩემს მიერ ნახსენები ოსვალდ შპენგლერის წიგნი 1920 წელს გამოიცა და რა დაინახა ავტორმა ევროპის საზოგადოებაში ისეთი, რამაც მას ათქმევინა – ევროპის მზე უკვე ჩაესვენაო?**

**უპირველეს ყოვლისა, მან დაინახა უზნეობის მოძალება, რაც ყოველთვის ახლდა რევოლუციურ პროცესებსა და მის შესაბამის იდეოლოგიებს, ფაშიზმისა და, შესაბამისად, რასიზმის რეციდივებს. 1923 წელს ფაშისტური ხელისუფლება მოვიდა იტალიაში არა ძალადობის, ან რევოლუციის გზით, არამედ არჩევნებით! (სხვათა შორის, 1933 წელს გერმანიის სათავეში ყველაზე პირსისხლიანი ფაშისტური ხელისუფლება მოვიდა და ისიც დემოკრატიული არჩევნების გზით!).**

**ეს მაგალითები ყველაზე უკეთესად გვიჩვენებს იმას, რომ იმდროინდელი ევროპა, ძირითადად, ზნეობრივ დეფიციტს განიცდიდა. ევროპაში ყველაზე ადრე ოქტომბრის რევოლუცია, ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი კატასტროფა მოხდა რუსეთში, სატანისტების – ლენინის, ტროცკისა და მათი აპოკალიფსის მხედრების ძალისხმევით. ეს იყო უზნეობის აპოლოგია, რასაც ჰუმანისტური იერი ჰქონდა, რადგან რასიზმისაგან რადიკალურად განსხვავებული სახით მოდიოდა, თუმცა არ ერიდებოდა მიუღებელი სოციალური ფენების ფიზიკური განადგურებისაკენ მოწოდებას და ეს მოწოდება უშედეგოდ არ მთავრდებოდა, ლენინ-ტროცკის სატანისტური იდეოლოგიის მესაფლავე სტალინი რომ არ გამოჩენილიყო, ის სატანისტური იდეოლოგია უფსკრულში გადაიყოლებდა არა მარტო რუსეთის ხალხებს, არამედ ევროპის ხალხებსაც!**

**ამასთან, ერთ ანალოგიას მოგახსენებთ: საფრანგეთის „დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის“ პროცესში არაფრანგი ნაპოლეონი რომ არ მოვლენოდა ქვეყანას, ფრანგები გილიოტინაზე დააყრევინებდნენ თავებს ერთმანეთს. საფრანგეთი ნაპოლეონმა სრულ ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა!**

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში კვლავ გამოვიდა სააშკარაოზე სატანიზმი ნეოლიბერალური იდეოლოგიის სახით. ამის აშკარა მაგალითი იყო აშშ-ში გამართული ჰომოსექსუალების აღლუმი, რომლის წინა რიგებში იყვნენ პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეუღლე. მეტიც, ობამამ ჟურნალისტებთან საჯაროდ განაცხადა, რომ მე ახალგაზრდობაში ჰომოსექსუალიც ვიყავი და ნარკომანიცო!

აცხონოს ღმერთმა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელმაც წინასწარმეტყველურად განაცხადა: კაცობრიობას თუ კიდევ მოევლინება ფაშიზმი, მას აუცილებლად ლიბერალური სახე ექნებაო. ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასტურია დღევანდელი ევროპის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რამდენიმე სახელმწიფოს გამოკლებით.

ჩემი ამ დასკვნის მართლზომიერების საილუსტრაციოდ მხოლოდ ამ არგუმენტს მოვიშველიებ: დემოკრატიისა და ლიბერალიზმის აუცილებელ ნიშნად ევროპაში, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება და გენდერული თანასწორობის აღიარება მიაჩნიათ.

ჰომოსექსუალურობა რასაც ნიშნავს, ვფიქრობ, თითქმის ყველამ იცის, მაგრამ გენდერული თანასწორობა ქალისა და კაცის თანასწორობა ჰგონია უმრავლესობას (უდიდეს უმრავლესობას!). აი, როდესაც ამერიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა: ამ ქვეყანაზე მხოლოდ ორი სქესი – ქალი და კაცი არსებობსო, კონსერვატორები ცას ეწიენ სიხარულით: აი, აშშ-ის პრეზიდენტიც იმავე აზრის ყოფილა, როგორიც ჩვენს ხელისუფლებას აქ-

ევროპის ქვეყნებთან კავშირს მართლაც ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ, ქართველი მეფეები და სასულიერო პირები, მაგრამ ეს ინტერესი მხოლოდ ქრისტიანობით იყო განპირობებული, თუმცა ნამდვილი ქრისტიანობა არც არასოდეს ყოფილა იქ. ევროპაში გაჩაღებულ რელიგიურ ომებსა და მტრობას რა კავშირი ჰქონდა უფალთან? ან იქნებ ინდულგენციებით ვაჭრობა იყო ქრისტიანული მორალის გამოვლენა. არაფერს ვიტყვი შუა საუკუნეებში შავი ჭირივით გავრცელებულ ინკვიზიციაზე, რომლის სათავეში თვით რომის პაპი იდგა, თუ იჯდა.

**არც საერთო ღირებულებები გვქონია მაინცდამაინც. სულ სხვა იყო ჩვენი და იმათი ზნეობრივი მრწამსი და ტრადიციები. ჩვენ, იცოდეს ყველამ, კავკასიური რასის წარმომადგენლები ვართ და ჩვენი ცივილიზაციაც კავკასიურია, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთისა და სხვა კულტურებთან კავშირში. ამიტომ, თავგადაკლული მტკიცება იმისა, რომ ჩვენ ვართ ევროპელები და ჩვენი ვალია ევროპას ევროპელობა დავუბრუნოთ, ანუ „უარყოფილი“ ევროპული ღირებულებათა სისტემა შევაყვაროთ ევროპას, ძალიან დელიკატურად თუ შევაფასებთ ამ განცხადებას, იგი პირწმინდად არასწორია. ამავე დროს, ასეთი პოზიცია, არა მგონია, ჩვენი მეზობლებისათვის – კავკასიელი ხალხებისა და აზერბაიჯანისათვის – მოსაწონი იყოს. არცერთი მათგანი არ უმტკიცებს ევროპელებს თავის „ევროპელობას“! ეს არა მარტო იდეოლოგიურად მცდარი პოზიციაა, არამედ სრულიად არაპრაგმატულიც არის.**

**ევროპის ქვეყნებთან კავშირს მართლაც ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ, ქართველი მეფეები და სასულიერო პირები, მაგრამ ეს ინტერესი მხოლოდ ქრისტიანობით იყო განპირობებული, თუმცა ნამდვილი ქრისტიანობა არც არასოდეს ყოფილა იქ. ევროპაში გაჩაღებულ რელიგიურ ომებსა და მტრობას რა კავშირი ჰქონდა უფალთან? ან იქნებ ინდულგენციებით ვაჭრობა იყო ქრისტიანული მორალის გამოვლენა. არაფერს ვიტყვი შუა საუკუნეებში შავი ჭირივით გავრცელებულ ინკვიზიციაზე, რომლის სათავეში თვით რომის პაპი იდგა, თუ იჯდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

**ჩვენ კავკასიური რასის წარმომადგენლები ვართ და ჩვენი ცივილიზაციაც კავკასიურია, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთისა და სხვა კულტურებთან კავშირში. ამიტომ, თავგადაკლული მტკიცება იმისა, რომ ჩვენ ვართ ევროპელები და ჩვენი ვალია ევროპას ევროპელობა დავუბრუნოთ, ანუ „უარყოფილი“ ევროპული ღირებულებათა სისტემა შევაყვაროთ ევროპას, ძალიან დელიკატურად თუ შევაფასებთ ამ განცხადებას, იგი პირწმინდად არასწორია.**

მე არაერთხელ მითქვამს, რომ ოპოზიციონერი არ ვარ, დღევანდელი ჩვენი ოპოზიციონერის მსგავსი. მე ვარ ქართული სახელმწიფოებრიობის აპოლოგეტი და უსაზღვროდ ერთგული; რაც უნდა, ჩემთვის, მიუღებელი იყოს კონსტიტუციური გზით არჩეული ხელისუფლება, მე მისი დამხობისა და რევოლუციების მოწადინეთათვის შეურიგებელი მტერი ვარ და ვიქნები! მაგრამ იმას თუ გეტყვი, რომ შენი პოლიტიკური ორიენტაცია ჩვენი სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველელია, ისტორიული უმადურობის გამოვლენაა და არა მარტო უსარგებლოა, არამედ დიდი ცოდვაც არის, რაც უფლისგან ისჯება, მტრად კი არ უნდა ჩამთვალოს ხელისუფლებამ, არამედ მეგობრად. მართალია, დიდმა მოაზროვნემ, ყველასთვის ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰანს მაგნუს ენცენსბერგერმა ქართველი ერი არასახელმწიფოებრივად მოიხსენია და იქვე დაუმატა – ქართველი ერი კულტურის ერიაო, – მე და ჩემნაირები სახელმწიფოებრიობის იდეით ვართ გამსჭვალულები.

როდესაც მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ დღევანდელ ქართულ ენას პატრონი აღარ ჰყავს და ეს დამღუპველი პროცესი უნდა შეჩერდეს-მეთქი, რადგან, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“, კი არ უნდა წამიყრუო, უნდა მკითხო, რა არგუმენტი გაქვს ეგეთი დასკვნის გასაკეთებლადო. ანდა, როდესაც საჯაროდ ვიკივლე, განათლების სისტემას არაკომპეტენტური ხალხის ხელში ნუ აგდებთ და მათ მიერ მოფიქრებული „კონცეფციებით“(?!) ნუ ცდილობთ რაღაც რეფორმების განხორციელებას-მეთქი, – პასუხი მაინც მომთხოვეთ, რატომ არგუმენტები არ გაქვთ ასეთი დასკვნების გამოსატანადო! მე არა ვარ ანარქიის მომხრე, მე ვარ კომპეტენტური ხალხის დემოკრატიის მომხრე! როგორც დიდმა ილია ჭავჭავაძემ ბრძანა, „არჩევნებში ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს“-ო!

ა, ბატონო, ერთ ძალიან მაგარ არგუმენტს მოგიტანთ საამისოდ:

ევროკავშირის პარლამენტის წევრები გამოკითხეს და გამოკითხულთაგან ვერც ერთმა ვერ აჩვენა რუკაზე ირანი! ზოგი მათგანი ირანს სკანდინავიაზე ეძებდა! აი, დღევანდელი, იმ „სანაქებო“ ევროპის მემკვიდრე პოლიტიკოსები! თქვენ, ჩემო ხელისუფლებავ, იცით ეს და მაინც, ფიცს დებთ (არ ვიცი, ვის წინაშე!), აუცილებლად შევალთ ევროპულ ოჯახში მის ნამდვილ წევრადო. თქვე კაი ხალხო, კავშირში და ერთიან ოჯახში თუ გინდოდათ ყოფნა, იმაზე კარგ ოჯახს, საბჭოთა კავშირი რომ იყო, სად ნახავთ, ნეტავი? არც პედერასტობას გაიძულებდათ ვინმე, არც ლესბოსელობას, არც ნეკროფილობას და არც სხვა უბედურებას! მეტიც, უზნეობა, რომელიც ანტისაზოგადოებრივ რეაქციებს იწვევდა, კანონით ისჯებოდა!

**დაცული ხომ იყავი და იყავი, პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც, მაგრამ ჩვენ ცალკე ოჯახი გვინდოდა, როგორც სრულწლოვან ვაჟს, მამის ოჯახისაგან დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა სურს, ის კი არა, რომ თავის ოჯახს გამოეყოს და უცხოტომელების ოჯახს მიეკედლოს!**

**აი, ასე მარტივად არის საქმე! ყოველ შემთხვევაში, იმათთვის მაინც, ვინც თავისი ქვეყნის ისტორია იცის და მტერ-მოყვარის ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლია.**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი
ტელ. 555 56 75 37

(დასასრული იქნება).

## სტრატეგიული გადატვირთვა




# ვინ ეწვევა თბილისს ვაშინგტონიდან?

აშშ-საქართველოს ურთიერთობებში ახალი, შესაძლოა, გარდამტეხი ეტაპი იწყება. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს შორის სატელეფონო კომუნიკაცია შედგა, თბილისში მაღალი დონის ამერიკული დელეგაციის ვიზიტს აანონსებენ. აპრილი ქართულ პოლიტიკურ კალენდარში უკვე მონიშნულია, როგორც „ურთიერთობების ნულიდან დაწყების“ შესაძლებლობა. თუ გავითვალისწინებთ ანალიტიკოსების შეფასებებსა და სახელმწიფო მდივნის ჩართულობას, დელეგაცია, სავარაუდოდ, რამდენიმე უწყების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება: სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები – სავარაუდოა, რომ ჯგუფს უხელმძღვანელებს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ან მისი მოადგილე. ეს იქნება პოლიტიკური დიალოგის მთავარი ხაზი.

პენტაგონის წარმომადგენლები – რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარებისა და შავი ზღვის უსაფრთხოების გათვალისწინებით, დელეგაციაში თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლების ყოფნა ლოგიკურია. ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები – თეთრი სახლის უშუალო ჩართულობის დასადასტურებლად, შესაძლოა, ვიხილოთ კურატორები უშიშროების საბჭოდან. კონგრესის ორპარტიული ჯგუფი – არ არის გამორიცხული, რომ დელეგაციას თან ახლდნენ კონგრესმენებიც, რაც ვიზიტს მეტ პოლიტიკურ წონას შესძენს.

## ვიზიტის მთავარი მიზნები

**ვაშინგტონიდან მომავალი ჯგუფის მისია რამდენიმე ძირითად მიზანს მოიცავს: პროცესების სიღრმისეული შესწავლა – ადგილზე გაეცნონ წინასაარჩევნო გარემოს, დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობასა და მართლმსაჯულების სისტემას.**

უსაფრთხოების გარანტიები – რეგიონული სტაბილურობის ჭრილში საქართველოს როლის განსაზღვრა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება. „გადატვირთვის“ პირობების დადგენა – კონკრეტული ნაბიჯების გაწერა, თუ რა უნდა გააკეთოს თბილისმა სტრატეგიული პარტნიორობის სრულფასოვანი აღდგენისთვის. სახელისუფლებო გუნდში ოპტიმიზმი სუფევს. ისინი ვიზიტს განიხილავენ, როგორც ურთიერთობების გაჯანსაღების რეალურ შანსს. ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მახაშვილი** აცხადებს: **„თითოეული ვიზიტით და შეხვედრით, ეტაპობრივად, კონკრეტული დღის წესრიგით ვცდილობთ ურთიერთობების თავიდან, ნულიდან აღდგენას. ამერიკის მხარის პოზიციაა, რომ აპრილშიც აპირებენ ცალკე ჯგუფის გამოგზავნას, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, კიდევ უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს საქართველოში მიმდინარე პროცესები და გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები, სადაც გამოიკვეთება საერთო ინტერესები“.**

მსგავსი პოზიცია აქვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, **ირაკლი ქადაგიშვილს,** რომელიც ხაზს უსვამს კომუნიკაციის დინამიკას: **„მარკო რუბიოსა და ირაკლი კობახიძეს შორის კომუნიკაცია იძლევა საშუალებას, რომ ეს საკმაოდ გაწელილი პროცესი, ამის შემდეგ, უფრო დინამიურად, შინაარსობრივად და დატვირთულად გაგრძელდება. ჩვენ სრული მზაობა გვაქვს, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან განახლდეს“.**

ოპოზიციურ ფლანგზე კი ამ პროცესს სკეპტიკურად უყურებენ. ოპოზიციის ლიდერების შეფასებით, ხელისუფლების მცდელობა „ნულიდან დაიწყოს ურთიერთობა“, სინამდვილეში, არის დაგვიანებული რეაგირება იმ საერთაშორისო იზოლაციაზე, რომელიც მათმა პოლიტიკამ გამოიწვია. ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ამერიკული დელეგაციის ჩამოსვლა არა ხელისუფლების „რეაბილიტაციას“, არამედ მათზე ზეწოლის გაძლიერებას ემსახურება, რათა ქვეყანამ დემოკრატიულ რელსებს არ გადაუხვიოს.

## „საქართველოს ანგარიშვალდებულების აქტი“

**ვიზიტი ემთხვევა პერიოდს, როდესაც აშშ-ში აქტიურად განიხილება „საქართველოს ანგარიშვალდებულების, გამძლეობისა და დამოუკიდებლობის“ აქტი. 2026 წლის დასაწყისის მონაცემებით, ამერიკული დელეგაციების ვიზიტები სწორედ ამ აქტის კონტექსტში ხორციელდება.**

ძირითადი აქცენტები და მიზნები, რომლებიც ვიზიტისას გამოიკვეთება:

**პოლიტიკური დიალოგი – შეხვედრები, როგორც ოფიციალურ პირებთან, ისე ოპოზიციის ლიდერებთან.**

**უსაფრთხოების თანამშრომლობა – რეგიონული საფრთხეების ანალიზი.**

**მხარდაჭერის აქტები – საქართველოს გამძლეობისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობების მობილიზება.**

**ჰუმანიტარული ასპექტი – ტრადიციულად, ამერიკელი წარმომადგენლები ეწვევიან დევნილთა დასახლებებს ვითარების გასაცნობად.**

აპრილის ვიზიტი იქნება „ლაკმუსის ტესტი“ „ქართული ოცნებისთვის“. თუ დელეგაციაში პენტაგონის მაღალჩინოსნებსაც ვიხილავთ, ეს ნიშნავს, რომ აშშ საქართველოს კვლავ განიხილავს, როგორც რეგიონული უსაფრთხოების უალტერნატივო პარტნიორს. თუმცა, სახელმწიფო დეპარტამენტის მკაცრი ტონი მართლმსაჯულებისა და არჩევნების საკითხებზე, სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება. საბოლოო ჯამში, აპრილი აჩვენებს, რამდენად მზად არის ვაშინგტონი, „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყოს ურთიერთობა და რა ფასის გადახდა მოუწევს თბილისს ამ სტრატეგიული გადატვირთვისთვის.

## ტრამპის ადმინისტრაცია და ამერიკული ინტერესები

**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე For.ge-თან მიიჩნევს, რომ დიდი ალბათობით დელეგაციაში იქნებიან ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და, შესაძლოა, დაბალი ან უფრო მაღალი რანგის ჩინოვნიკები.**

ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ინტერესი შეიძლება ამოძრავებდეთ მათ. მამრაძეს აფიქრებს ამ დელეგაციის მიზნები, რადგან, მისი აზრით, ამერიკა არ არის ქვეყანა, რომელიც რაღაცას სხვა ქვეყნების ინტერესების დაცვის გამო აკეთებს. მათ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესები და ამოცანები ამოძრავებთ.

**„მე ნაკლებად ველი იმას, რომ აქ ვინმე საქართველოს და მისი ხალხის პრობლემების გასაგებად და მის მოსაგვარებლად მოდიოდეს. ამერიკის პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს ნაკლებად მოსალოდნელია. იგივე მარკო რუბიოს ზარი საქართველოს პრემიერ კობახიძესთან ჩემთვის იყო იმის ნიშანი, რომ რაღაცას უფრო მოითხოვდა რუბიო აშშ-სა და თავისთვის, ვიდრე ეს საქართველოს სასიკეთო ზარი ყოფილიყო. შეიძლება, რუბიომ პირდაპირ ასე არ მოითხოვა რაღაცა, მაგრამ მან ისაუბრა, თუ რა პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი და, საქართველოს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, დააყოლა, რომ დახმარება სჭირდებოდათ. ჩვენ კარგად ვიცით ის ფაქტიც, რომ საქართველო ავღანეთში ათჯერ მეტ ჯარისკაცს აგზავნიდა, ვიდრე ამას ნატოს რომელიმე წევრი ქვეყანა აკეთებდა. მაგალითად, ჩეხეთი, რომელიც მხოლოდ 100 კაცს აგზავნიდა ავღანეთში, არადა ამ დროს ნატოს წევრი ქვეყანა იყო, ხოლო საქართველო 1000 კაცამდე მაინც გზავნიდა, ოღონდ სააკაშვილის პოლიტიკას არავინ შეხებოდა და არავის გაეპროტესტებინა ის უბედურება, რაც საქართველოში ხდებოდა“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

## ანაკლიის პორტი და ჩინური ფაქტორი

მისივე თქმით, ჩვენ ვნახეთ მარკო რუბიოს მოადგილის ბოლო ვიზიტი, რომელიც თავის საუბარში ანაკლიას შეეხო და მოინახულა კიდეც პორტის მშენებლობის ადგილი.

**„თითქმის დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი იტყოდა, რომ ჩინეთი მათთვის მიუღებელია და არ სურთ ანაკლიის პორტი ჩინელების მიერ იყოს აშენებული. არ მგონია, მას ეთქვა, რომ ამერიკულ ფულს მოიზიდავდა ანაკლიის პორტში და რუსეთს კი უსაფრთხოების საკითხზე დაელაპარაკებოდნენ. მე ახლა ამერიკის აქტიურობას ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლებისთვის პასუხად მივიჩნევ. გვახსოვს ჩვენი ხელისუფლების, პრემიერის განცხადებები, მოწოდებები, რომ ურთიერთობა ახალი ფურცლიდან ყოფილიყო დაწყებული. კობახიძემ ბევრჯერ თქვა, რომ მათ სურდათ აღედგინათ სტრატეგიული პარტნიორობა. ამიტომ ახლა ამერიკა ასე სვამს საკითხს: თქვენ თუ გინდათ, აბა, ახლა ვნახოთ, რა შეგიძლიათ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოთ. ეს არ არის პესიმიზმი, ეს არის რეალობა და გამოვთქვამ მყარ იმედს, რომ ახლანდელი ხელისუფლება ამ პიარ-მიღწევებისთვის საქართველოს უსაფრთხოებას თუ სხვა რაიმე ინტერესებს არ დათმობს“,** – ამბობს **მამრაძე.**

* * *

რაც შეეხება ირანის საკითხს და საქართველოში ირანის ელჩის განცხადებებს, ასევე იმ ფაქტსაც, რომ თუკი რეგიონში მეტი შესაძლებლობები გაუჩნდება საქართველოს, როგორ უნდა გამოიყენოს ისე, რომ ქვეყანაში მშვიდობა იყოს შენარჩუნებული, მამრაძე ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ნამდვილად არნახულ სიფრთხილეს და დაბალანსებულ პოლიტიკას მოიცავს.

**„ამ რეგიონულ ტურბულენტობაში შევინარჩუნოთ სიმშვიდე და თან მოვახდინოთ ლავირება, რომ არც ერთი ქვეყნის მხრიდან არ გავხდეთ აგრესიის ობიექტი, წარმოუდგენელ დიპლომატიურ და პოლიტიკურ მანევრირებას საჭიროებს, რასაც „ოცნება“ არნახულად ართმევს თავს“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

კავსაძეების გვარის გაგონებაზე თვალწინ ქართული ხელოვნების არა ერთი შესანიშნავი პიროვნება დაგვიდგება. როგორც ეტყობა განგებამ, ამ გვარს, ერის სულიერების მასაზრდოებლის როლი დააკისრა. მათ ერთგვარი ტრადიციაც კი შექმნეს ხელოვნებაში. მე არ შევუდგები პიროვნებების ჩამოთვლას, თუმცა ისინი საკმარისად არიან (ღმერთმა ამრავლოს). ჩემი წერილი შეეხება, მოზღვავებული ნიჭიერებით გამორჩეულ ხელოვანს, ქართული კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობს, ორიგინალურ და კოლორიტულ ადამიანს კახი კავსაძეს.

დაიბადა თბილისში 1935 წლის 5 ივნისს. იგი დიდი წინაპრის, ქართული ხალხური სიმღერის ბრწყინვალე მცოდნის, ლოტბრის სანდრო კავსაძის შთამომავალია. დიახ, სანდრო კავსაძე კახის პაპა გახლდათ. მოგვიანებით ეს ეროვნული საქმე მისმა შვილმა, კახის მამამ — დავით (დათაშკა) კავსაძემ განაგრძო. კახის დედა ქალბატონი თამარ ცაგარეიშვილი სპეციალობით ექიმი იყო.



# ნეტავი იქ თეატრი არის?!

## კახი კავსაძე — მოზღვავებული ნიჭიერების ტალანტი



ბელა და კახი

**ვინაიდან დავითი ტყიბულის მომღერალთა ანსამბლს ხელმძღვანელობდა, ოჯახი საცხოვრებლად ტყიბულში გადავიდა. დავითი 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ამის შემდეგ კახი, დედამისი და მისი ძმა – იმერი თბილისში დაბრუნდნენ. ცოტა რამ დავით (დათაშკა) კავსაძის შესახებ: იგი წითელი არმიის 224-ე მსროლელთა ბრიგადაში მსახურობდა. ტყვედ ჩავარდა. ვინაიდან ლოტბარობის გამოცდილება ჰქონდა, ქართველ ტყვეთა ბანაკში, ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა. მან არაერთი ქართველი და ებრაელი გადაარჩინა სიკვდილს. ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული დავითი, 1946 წლის 10 იანვარს საბჭოთა ხელისუფლებამ, ქვეყნის ღალატის ბრალდებით, დააპატიმრა და სვერდლოვსკის ოლქში გადაასახლა, სადაც იგი გარდაიცვალა.**

ფაქტობრივად უმამოდ იზრდებოდნენ კახი და მისი ძმა. ორივეს მუსიკისადმი დიდი ინტერესი ჰქონდა. თუმცა თბილისის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის მოსწავლეები – კახი და იმერი, როგორც „მოღალატე“ მამის შვილები, სასწავლებლიდან გამოუშვეს. დედამ ახალგაზრდა კახი ბიძის, მიშა კავსაძის გუნდში მიიყვანა, ხოლო შემდეგ მამის მეგობრის ბიჭიკო გველესიანის გუნდში მღეროდა.

მსახიობის პროფესიაზე არასდროს უფიქრია, ამისკენ უბიძგა იმ ფაქტმა, რომ სახლში (ვორონცოვზე), სადაც იგი დაიბადა, ცხოვრობდნენ დიდი მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ემანუელ აფხაიძე, თამარ ჭავჭავაძე და ალექსანდრე და სესილია წუწუნავები. ამ ადამიანების გარემოცვაში მყოფმა, მსახიობის პროფესიაზე ბევრი რამ შეიტყო და ამავე დროს დიდი ინტერესი გაუღვივა. კახიმ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, რომელიც 1959 წელს დაამთავრა. იგი რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი ხდება. სწორედ აქედან იწყება მისი, როგორც მსახიობის შემოქმედებითი გზა. აღსანიშნავია თეატრალური როლები: **ადამი** („ღვთაებრივი კომედია“), **თავადი კოწია** („გუშინდელნი“), **დევდარიანი** („საბრალდებო დასკვნა“), **ილიკო** („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), **სიმონ ჩაჩავა** („კავკასიური ცარცის წრე“), **ლორდ ჰასტინგსი** („რიჩარდ III“), კენტი („მეფე ლირი“), **რასპუტინი** („კვაჭი კვაჭანტირაძე“), **ბატონი დევი** („მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“). თეატრში 27-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული. „სპექტაკლის დროს დიდი სითბო მოდის მაყურებლისგან... ჩვენი ყველაზე დიდი საჩუქარი აპლოდისმენტებია. ეს გულით დაკრული ტაშია, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ... მისი უდიდებულესობა მაყურებელი მოვიდა და კმაყოფილი წავიდა, ამაზე დიდი სიხარული არტისტისთვის არ არსებობს,“ ამბობდა კახი.

მისი ნიჭიერების გამოხატულებას საზღვარი არ აქვს. მსახიობი დაუღალავად შრომობს და ნიჭიერებასთან შერწყმული შრომა შედეგს იძლევა, იქმნება შთამბეჭდავი და განუმეორებელი სახეები. მან 108 ფილმში მიიღო მონაწილეობა, რაც თავისთავად სარეკორდოა. ჯერ კიდევ ადრე, სკოლის დამამთავრებელ კლასში კახი, კინოსტუდია ქართულ ფილმში სინჯებზე დაიბარეს და ფილმზე – „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ მთავარი გმირის, ვეფხია ხალიბაურის როლზე დაამტკიცეს, მაგრამ მოულოდნელად მიღებული ტრავმის გამო, დებიუტი ვერ შედგა, ამის მერე კინოში გადაღების სურვილი არ უნელდებოდა. საბოლოოდ ოცნება მაინც აიხდინა. უამრავი საინტერესო და დაუვიწყარი კინოროლი შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კინოხელოვნებაში დღეს არსებობს ეგრეთ წოდებული „კახი კავსაძისეული გმირი“, რომელშიც კონცენტრირებულია მსახიობის შესანიშნავი უნარი ჟანრის ზუსტი შეგრძნებისა, ყოველ მხატვრულ სახეში ჩაქსოვილია პიროვნული ხიბლი, მსახიობური გარდასახვა, ამა თუ იმ მომენტის თავისებურად გადმოცემა, რომელიც არავის არ ჰგავს, არავის ბაძავს, მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთრებაა, მისი ხელწერაა. პირველად ეს ყველაზე ნათლად გამოიკვეთა ფილმში „სამკაული სატრფოსთვის“, სადაც მან ზაურის როლი შეასრულა. მეტად შტამბეჭდავი და საინტერესოა მისი როლები – **ინოჩენცი** („ვერის უბნის მელოდიები“), **ელიბო** („ღვინის ქურდები“), **დიაკვანი** („ლაზარე“), **საშიკო** („აურზაური სალხინეთში“), **ტიტე ნატუტარი** („ყვარყვარე“), **იორამი** („ნატვრის ხე“), **დონკიხოტი** („დონკიხოტი და სანჩოპანსა“)... როგორი მკვეთრი საღებავებითაა გამოხატული მსახიობის პალიტრა, რისთვისაც მაყურებელმა ნახვისთანავე შეიყვარა. მისი სახელი ასოცირებულია მაყურებლის გარკვეულ განწყობასთან. ეკრანზე კახი კავსაძის გამოჩენისთანავე, ფილმის ჟანრისა და როლის სიდიდის მიუხედავად, მაყურებლის არასტანდარტულ, უცნაურ პერსონაჟებთან შეხვედრის ხალისიანი მოლოდინი ეუფლება. ამ სრულიად განსხვავებულ ფილმებში მსახიობმა ზუსტად აუღო ალღო ავტორთა სტილს, ჟანრს და მისთვის ჩვეული მრავალფეროვნება გამოამჟღავნა.

რეჟისორები, რომლებსაც კახი კავსაძესთან უმუშავიათ ფილმებზე, ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი მდიდარი ფანტაზიის მქონე, ჩინებული მსახიობია და კინოკამერის წინ გარდასახვის იშვიათი უნარითა და მისაბაძი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ძნელია თეატრში ისე განვლო შემოქმედებითი გზა, რომ გულნატკენი ან მოშურნე ადამიანი არ გყავდეს, თეატრის მოღვაწეთაგან არასოდეს მსმენია მასზე რაიმე აუგი. იყო თავის პროფესიაზე თავდადებული და უზომოდ შეყვარებული, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, გულწრფელი, მოყვასი, ადამიანის მოყვარე, კოლეგიალური, მეგობრული. საქვეყნოდ ცნობილია მისი და გივი ბერიკაშვილის მეგობრობის ისტორია, მათი ესტრადაზე ერთად გამოსვლა. ყოველთვის შინაგან სითბოს და სიყვარულს ასხივებდა. მანქანით ნელა დადიოდა, რომ ვინმე დაენახა და წაეყვანა: „ნაცნობებს რომ ვერ ვხვდები, უცნობებს ვუჩერებო“ – ამბობდა. ალბათ ამიტომაც უყვარდა ყველას.

მსახიობობის გარდა, კახი შესანიშნავად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. მსახიობი რომ არ გამოსულიყო, ბრწყინვალე მომღერალი იქნებოდა. ამ სტრიქონების ავტორს, საშუალება ჰქონდა არა ერთხელ მასთან ერთად შეესრულებინა – „ცედური“ და „ცერკოვნი“ მრავალჟამიერები. სიმართლე გითხრათ, მისგან ასეთი მაღალი დონის შესრულებას ნამდვილად არ ველოდი. მისმა შესრულებამ ჩემში ერთგვარი აღფრთოვანება და ამავე დროს გაკვირვებაც გამოიწვია. ეს იყო ქართული ხალხური სიმღერის უზადო შესრულე-



გივი და კახი

# სპექტაკლი გვაქვს უთვალავი ფერითა

## რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის თეატრში

გა. სხვათა შორის, ქალაქურ სიმღერებსაც შესანიშნავად მღეროდა. მაშინ ვგრძნობდი, რომ ჩემ წინ იდგა მრავალმხრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი, კაცი ლეგენდა, კავსაძეების გვარის გვირგვინის დამდგმელი. ამ მხიარული და გულღია პიროვნების უკან აშკარად სევდიანი და ტრაგიკული ადამიანი იმალებოდა. ალბათ იმიტომ, რომ განგებამ მას ბევრჯერ მოუწყო გამოცდა. თუმცა ამას სხვას არ აგრძნობინებდა. არ უყვარდა პომპეზურობა. თვით უკანასკნელი განსასვენებელიც კი უბრალოდაა მოწყობილი, მასზე მხოლოდ ბელა მირიანაშვილის და კახი კავსაძის ავტოგრაფებია ამოტვიფრული.

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, ყველამ იცის, რომ მან ბედი ულამაზეს და უნიჭიერეს მსახიობს ბელა მირიანაშვილს დაუკავშირა. ამ წყვილის ლეგენდარულ სიყვარულზე ბევრი დაწერილა და თავადაც დიდი გატაცებით ხშირად უსაუბრია. კახი კავსაძემ და ბელა მირიანაშვილმა 26 წელი იცხოვრეს ერთად, 1992 წლის 28 აგვისტოს კი ბელამ მიწიერი ცხოვრება დატოვა და მათმა სიყვარულმა სხვა განზომილებაში გადაინაცვლა. ბელა მაშინ 54 წლის იყო, კახი 57-ის.







კახი კავსაძესა და ბელა მირიანაშვილზე უსასრულოდ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა, ალბათ, ყველა ლამაზი სიტყვა, ერთად აღებული, ვერ ამოწურავს იმ გრძნობას, რასაც ქართველი ხალხი უსაყვარლესი მსახიობების მიმართ განიცდის. დღეს ამ ნიჭიერი წყვილის თეატრალური ტრადიციები გრძელდება მათ შთამომავლებზე – ირაკლი კავსაძისა და ნანუკა ხუსკივაძის სახით.

მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებები, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, ქალაქ დუშამბეს საკავშირო კინოფესტივალის პრემიები, ღირსების ორდენი. რუსთაველის თეატრის წინ გახსნილია მისი ვარსკვლავი. გარდაიცვალა 2021 წლის 27 აპრილს, 86 წლის ასაკში. დაკრძალულია საბურთალოს ზედა პანთეონში (წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში) მეუღლის – ბელა მირიანაშვილის გვერდით.

**ქართულ თეატრს ბევრი დიდი არტისტი ჰყოლია და ბევრიც ეყოლება, მაგრამ ისეთი სახალხო სიყვარული, როგორიც კახი კავსაძემ დაიმსახურა, მხოლოდ ერთეულების ხვედრია. გავა წლები და მოზღვავებული ნიჭიერებით გამორჩეულ ხელოვანს ხშირად შეგვახსენებენ მის მიერ ნათამაშები თეატრალური და კინო სახეები, რომლებსაც დავიწყება არ უწერია.**



**გელა ქოქიაშვილი,**
ხელოვნებათმცოდნე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი,
ქართული კულტურის ამაგდარი.



**და აი, რობერტ სტურუას „ვეფხისტყაოსანიც!“**

**რამდენ ხანს ველოდით?!**

**ღირდა ლოდინი. რა კარგია, რომ აქამდე არ დადგა. აქამდე, დიდხანს უნდა ევლო და ეფიქრა, ეთქვა კიდეც ისეთი „რაღაცები“, რასაც ვერ გაუბედნენ და რის გამოც ჯვარს აცვამდნენ, რათა ამაღლებით მიახლოებოდა „ვეფხისტყაოსანს“.**

**ახლა მივხვდი, რატომ არ უყვარს ზიჩის ილუსტრაციები, რატომ ამბობს, რუსთაველის გენიალური პოემა „ათას ერთ ღამეს“ დაამსგავსაო.**

**სტურუას ახალი სპექტაკლი ამის სრული ანტიპოდია.**

**სხვათა შორის, პროტესტი გამიჩნდა, საანონსო აფიშაზე ეს რომ წავიკითხე: „ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ დღეს“.**

**სტურუას სპექტაკლი და კითხვა?!**

აკი, რომ დასჭირდეს, ტელეფონის წიგნსაც დრამატურგიად აქცევსო?!

საბედნიეროდ, აფიშაზე ეს აღარ წერია.

აქ არც წაკითხვაა და არც ილუსტრაცია.

ეს არის „ვეფხისტყაოსანი“, თეატრის ენაზე ნათარგმანები.

რა კარგად აგვიხსნა, თავის დროზე, ბატონმა რევაზ სირაძემ, თარგმანება, ძველად, გააზრებას რომ ნიშნავდა.

ჰოდა, ჩვენ წინაშეც „ვეფხისტყაოსნის“ სტურუასეული გააზრებაა – უდიდესი ოსტატობითა და უზადო გემოვნებით, უმაღლესი ესთეტიკით აღბეჭდილი.

ეს იგრძნობა ყველაფერში – სცენოგრაფიაში, ქორეოგრაფიაში, მუსიკაში, მხატვრულ განათებაში, თითოეულ მიზანსცენაში, მასობრივ სცენებში...

მოკლედ, სპექტაკლი „გვაქვს უთვალავი ფერითა“...

ეს ისაა, რასაც ვიკტორ ნოზაძე, ალბათ, „ვეფხისტყაოსნის სცენისმეტყველებას“ დაარქმევდა.

ეს არის რუსთაველის გენიალური პოემის გენიალური სასცენო ვერსია.

ის ლითერატურაა, ეს – თეატრი, რომელსაც თავისი ენა აქვს და ეს ენა ყველაზე კარგად რობერტ სტურუამ იცის.

აქ ლექსს კი არ კითხულობენ, თითოეული ფრაზა ქმედებაში გადაჰყავთ. როცა თვითონ სტურუას ხმაც გვესმის, რეჟისორიც „თამაშობს“.

და რა ბედნიერებაა, რომ ეს ბრწყინვალე სპექტაკლი ცოცხალი გენიოსის ხმითაც არის გამდიდრებული.

არაერთი ეპიზოდის მოხმობა შეიძლება იმის დასტურად, თუ როგორ გადაიქცევა გენიალური პოემის ტექსტი დრამატურგიად, რაც მსახიობებს „ფრთების გაშლის“ საშუალებას აძლევს.

ასეთია, მაგალითად, თინათინის გამეფების, როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის სცენები, თინათინისა და ავთანდილის სასიყვარულო ურთიერთობანი...

მსახიობები?



სპექტაკლის წარმატებას, ალბათ, თანაბრად ინაწილებენ, მაგრამ ორი აუცილებლად უნდა გამოვყოთ: თინათინი და ავთანდილი.

ქეთი სვანიძისთვის ეს, ალბათ, ჯერჯერობით, ყველაზე დიდი წარმატებაა.

რაც შეეხება ლევან ხურციას: პრომეთე მისი მწვერვალი მეგონა. ავთანდილმა დამარწმუნა, რომ ასე სულაც არ ყოფილა. რაც მთავარია, ისინი ერთმანეთს სრულიად არ ჰგვანან.

დავით უფლისაშვილმა კი თანდათან დაგვარწმუნა, რომ სტურუა მისთვის დიდ როლებს შემთხვევით არ იმეტებს.

თინათინისა და ავთანდილის ზომიერად თამამი ურთიერთობა რუსთაველის პოეტური სამყაროს გურამ ასათიანისეულ დახასიათებას გაგვახსენებს:

„იდეალური, განყენებული აქ გამუდმებით მიილტვის ხორციელი განსახიერებისკენ, მატერიალურისკენ, ხოლო მატერია ასევე გამუდმებით იჭრება იდეათა სფეროში და თავის ცოცხალ, თბილ ფორმებს კარნახობს მათ“.

* * *

**„მიჯაჭვული პრომეთეც“ სტურუას გოლოდროინდელი შემოქმედების გვირგვინი მეგონა.**

**რა კარგია, რომ მოვტყუვდი.**

„ვეფხისტყაოსნის“ სცენური ვერსია და მისი განხორციელება სრულიად ახალი სიმაღლეა.

სტურუასთვისაც კი ახალი სიმაღლე.

ვფიქრობ, ზოგადად, თეატრში რაღაც ახლის დამწყებიც. იმის საბუთიც, რომ 87 წლის რობერტ სტურუა ყველაზე ახალგაზრდა და თანამედროვე რეჟისორია დედამიწაზე.

* * *

**უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რობერტ სტურუას სამ ნაწილად აქვს ჩაფიქრებული.**

**ჯერ პირველი ნაწილი ვიხილეთ: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.**

ხოლო თუ ვისი მეფეა როსტევანი და რუსთაველს რომ არაფერი უთარგმნია, მაშინ გავიგებთ, როცა თინათინის გამეფების შემდეგ, სცენის სიღრმიდან ნაცნობი ფრესკა შემოგვანათებს და მოგვესმება: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“.არავითარი არაბეთი! ეს საქართველოა!

და ეს აქ უკვე ნათქვამი კი არა, ნაჩვენებია. ხასიათებიც ქართულია, როგორც თინათინისკენ სიხარულით მიმსწრაფი ავთანდილის აივნიდან ლამის გადმოხტომა.

* * *

**თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხის“ განხილვაზე, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ თქვა როგორ მშურს კინომცოდნეების, ასეთი საინტერესო სამსჯელო რომ გამოუჩნდათო და...**

საუკეთესო რეცენზია თვითონ დაწერა.

მე არც თეატროლოგებისა მშურს და არც კინომცოდნეების, ამიტომ მათს საუკეთესო რეცენზიებს დიდი ინტერესით დაველოდები.

სამსჯელო კი ასეთი უნდა...

**იოსებ ჭუმბურიძე**



## როგორ ვიქნები, თუ არ ვენთები...





# ქანდაკოვნება თემო ნაცვლიშვილისა

**წიგნი, ალბომი, ცხოვრება, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის მასტერ-კლასი, ხელოვნების ზეიმი, სევდა, მამაშვილობა, ადამიანობა, პრინციპი, ცხოვრების წესი და...**

**დიახ, კიდევ ბევრი რამ აკლია ჩამონათვალს, ბევრი რამ რაც ცხოვრებას გვასწავლის და მარადიული – „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა“...**

მე არ მოვკვდები, –
სახეს შევიცვლი,
და სხვა სიცოცხლეს შევუერთდები,
სიკვდილისათვის მე ვერ მოვიცლი,
როგორ ვიქნები, თუ არ ვენთები...

თემო ნაცვლიშვილის „პოეზიის სამზარეულოდან“

შვილი თუ შვილიშვილები? წინაპარი, თუ შთამომავლები? და მაინც ვინ არის თემო ნაცვლიშვილი? დიდი მოქანდაკე, კარგი პოეტი, ფილოსოფოსი, ოჯახიშვილი, თავგადაკლული მამა, პრინციპების არმღალატებელი, გვარის მშვენება, თუ... თავისივე სევდიანად გაჟღენთილი ხუმრობისა არ იყოს (ქალბატონმა თამარ ტვილდიანმა შემოგვინახა მეოთხედი საუკუნის წინ აღებული ინტერვიუდან) – **ჩვენში ქანდაკების მომავლის ბედი, სამწუხაროდ, ერთი-ორი ადამიანის ნება-სურვილზე და პროტექციაზეა დამოკიდებული. ბევრი არასასიამოვნო რამ ხდებოდა და ხდება. მე ამ ამბებს მუდამ თითქოს გარედან ვუყურებდი და არასოდეს მიაქტიურია, თუ პროფესიულ აქტიურობას არ ჩავთვლით. ერთი სიტყვით, კომბლესავით ვიყავი – ვაკეთებდი და ვაწყობდი...**

ეს სევდანარევი ხუმრობა თემო ნაცვლიშვილის ბიოგრაფიაა. კაცი, რომელსაც უკან დახევა არ უყვარდა და არც უცდია. განა თავადვე არ ამბობს – არასოდეს მიაქტიურიაო, თუ პროფესიულ აქტიურობას არ ჩავთვლითო... თითქოს შეეჩვია, შეეჩვია და ყურადღებას არ აქცევდა. აქანდაკებდა, სულს ჩაჰბერავდა, აცოცხლებდა, მაგრამ სახლში, სახელოსნოში, თაროებზე შემოწყობილ ნაქანდაკევად აქცევდა სულის ყივილს. ბედიც უცნაური დაჰყვა – კარგია, შესანიშნავია, დიდებულია, მაგრამ... შემქებართა ქანდაკებები იდგმებოდა, თემოსი კი კვლავ სახელოსნოში, თაროზე ჰპოვებდა ნავსაყუდელს. აკი იტყვის შემდგომ შესანიშნავი პოეტი და ჟურნალისტი ნანა ღვინეფაძე – **პარადოქსი: არც თბილისში, არც სადმე საქართველოში მისი ნაქანდაკარი არ დგასო.**

თავადვე მოუგონა თავის შემოქმედებას არავისგან ჯერარნათქვამი ქანდაკოვნება. ეს ხომ ფილოსოფიაა – ჩვეულებრივი ქანდაკებისგან ნამდვილი ქანდაკების განსხვავებული სიტყვა. სიტყვა, რომელიც თავად თემო ნაცვლიშვილია – სხვა მოქანდაკეებისგან განსხვავებული თავისი ხედვით, ფილოსოფიით, ცხოვრების წესით.



**თემო, პაატა, თეონა ნაცვლიშვილები**

თემო ნაცვლიშვილი ქართველ მოქანდაკეთაგან მისი ორიგინალური კომპოზიციების სიმდიდრითაც გამოირჩევა. მისი 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ალბომში თემო ნაცვლიშვილის ასზე მეტი კომპოზიციაა შესული. ბევრი მათგანი აქამდე მხატვრის სახელოსნოს არ გასცილებია და ამ ალბომში პირველად ქვეყნდება. დაუმატეთ ამას ალბომში ასევე პირველად გამოქვეყნებული პორტრეტები, რელიეფები, მედლები, გრაფიკული ნამუშევრები და აშკარა გახდება, რომ ამიერიდან ქართული ხელოვნების ისტორია გვერდს ველარ აუვლის თემო ნაცვლიშვილის შემოქმედებას, როგორც ეს მის სიცოცხლეში ხდებოდა.

ამბობენ, თაობებში გენი თითქოსდა ისვენებს და როდის გამოჩნდება, ამას წლები სჭირდებაო. ამბობენ, მაგრამ ეს მოსაზრება თავად ნაცვლიშვილების გენმა დაანგრია – თემო ნაცვლიშვილის ბუნების სიყვარული, სილამაზის აღქმა, დაუღალავი შრომა მამისგან მოსდევს – ცნობილი აგრონომის, თბილისის გამწვანების ერთ-ერთი პიონერის ზაქარია ნაცვლიშვილის გენის დამსახურებაა, რომ თემო ნაცვლიშვილის სახელოსნო, საბურთალოს ბაზრის გვერდით, მწვანეში იყო ჩაფლული და მიწის ეს პატარა „ნაგლეჯი“ ედემის ბაღად იყო ქცეული. ხელოვნების სიყვარული სამივე შვილს გამოყვა, შემდეგ შვილიშვილში გაგრძელდა და ასე დაინერგა ის მითი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

**„ბავშვობაში მეშინოდა კარადის თავზე შემოწყობილი ქანდაკებებისა, განსაკუთრებით პორტრეტების, მერე კი ისე შევეჩვიე მათ, რომ სტუმრად მისულს მიკვირდა, რატომ არ ჰქონდათ მასპინძლებს ოთახში ქანდაკებები. ქალების, კაცების თუ ბავშვების პორტრეტები და ათასგვარი ფიგურები საცხოვრებელი გარემოს ისეთივე აუცილებელი ატრიბუტი მეგონა, როგორიც, ვთქვათ, საწერი მაგიდა, საწოლი თუ ეტაჟერი“, – იგონებს პაატა ნაცვლიშვილი თავის ბავშვობას ამ შესანიშნავი ალბომის სეფეწერილში „მამაჩემი – თემო ნაცვლიშვილი“.**

შარშან გამოცემული ალბომის წარდგინება წლეულს, მარტის თვეში დააანონსა პაატა ნაცვლიშვილმა, დღე და საათიც ცნობილი იყო და ყველა, ვისაც ჭეშმარიტი ხელოვნება „სასიამოვნოდ გულს უფხოჭნის“ ელოდა ხელოვნების სასახლეში იმ საოცრების ხილვას, რომელიც მართლაც სამაგიდო წიგნი უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ... საქართველოში დატრიალებულმა უდიდესმა ტრაგედიამ, პატრიარქის გარდაცვალებამ გადადო ეს წარდგინება. პატრიარქი ხომ თემო ნაცვლიშვილის მართლაც სულიერი მამა გახლდათ, დიდი თაყვანისმცემელი მისი ხელოვნებისა. დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორ ქანდაკებას გამოარჩევ, რომელიც დიდმა ხელოვანმა სიცოცხლეშივე მოასწრო დადგმა – ორენბურგის ოლქის ქალაქ ბუზულუკში ლევ ტოლსტოის ძეგლი და წმინდა ნინოს ქვაში შესრულებული გორელიეფი, (საქართველოს საპატრიარქოს გალავნის ფრონტონი), აგრეთვე თემო ნაცვლიშვილის შექმნილია ქალბატონ ლილი გოცირიძე-აბაშიძის საფლავზე მდგარი „მწუხარე დედა“ და რამდენიმე მემორიალური ბიუსტი თბილისურ სასაფლაოებზე.

# გვიყვარხარ, პატრიარქო!

*   *   *

**ალბომი საოცრება, მასტერკლასი ხელოვანთათვის და არამარტო მათთვის... ასე ვაფასებ მე, ჩემი უფროსი მეგობრის პაატა ნაცვლიშვილის მიერ შექმნილ ალბომს, რომელიც ჩუქების დღიდან უკვე მერამდენედ გადავათვალიერ-გადავიკითხე.**

არადა სამასგვერდიანი ალბომის დათვალიერებაც ძნელია, თუ ალბომი ისეთი ხელოვანის შემოქმედებას ეკუთვნის, როგორიც თემო ნაცვლიშვილი გახლავთ, მითუმეტეს, ალბომში შეტანილი ცნობილი ხელოვნებათმცოდნის სამსონ ლეჟავას ვრცელი წერილი **„მოქანდაკე თემო ნაცვლიშვილი – მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში“**, ჩვენს გაზეთში გაგრძელებებით იბეჭდებოდა 2025 წლის ზაფხულში და ისიც დიდი სიამოვნებით რამდენჯერმე მქონდა გადაკითხული **(„საქართველოს რესპუბლიკა“ NN87-94)**.

სწორედ ამ საოცარ ალბომშია ჩატეული პაატა ნაცვლიშვილის – პოეტის, ჟურნალისტის, მოგზაურის, მკვლევრის, რედაქტორის, ისტორიკოსის, ბიბლიოფილის, პედაგოგის, მხატვრის და ა. შ. და ა. შ. მთელი გული და პროფესიონალიზმი. რამდენი რამ შეგიძლია ისწავლო ამ ენციკლოპედიური ნიჭის მქონე კაცისგან მარტო ამ ალბომით, მშობლის დაფასება უპირველესად. სწორედ პაატამ გამოსცა ამ მეოთხედი საუკუნის წინ თემო ნაცვლიშვილის ნამუშევრების კატალოგი, რომლის პრეზენტაციაც სურათების ეროვნულ გალერეაში შედგა. კატალოგი პაატამ საკუთარ გამომცემლობაში (ტექსტის ავტორი თამარ ტვილდიანი) გამოსცა და მამას სიურპრიზი გაუკეთა. თითქოს მამაშვილობის მადლიცა და ვალიც მოიხადაო, რომ იტყვიან, მაგრამ სიურპრიზი უკვე ხელოვნების მოყვარულებს წინ გველოდა „თემო ნაცვლიშვილი 100“-ის სახით.

*   *   *

**გენი არ ისვენებს.**

**„მახსოვს, ხანდახან პაპას სახელოსნოში შესვლა არ შეიძლებოდა, მოწაფეები ჰყავდა და ხელი არ უნდა შემეშალა. მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ ერთ დღეს მეც პაპას მოწაფეთაგანი ვიქნებოდი...“ – ეს თეონა ნაცვლიშვილია, თემო ნაცვლიშვილის შვილიშვილი, ყველაზე დამჯერი მოსწავლე და პაატას ქალიშვილი. ჯერჯერობით ასე ვახასიათებთ ამ მართლაც ფენომენალური ნიჭის ადამიანს, ორი ვაჟკაცის დედას.**

პატარა ერეკლე და ნიკო ვერცხლისწყალივით მოძრავნი, მოუსვენარნი და აბრიალებულთვალება ბიჭუნები ყურადღებით აკვირდებიან დიდი პაპის ხსოვნის საღამოზე, პაპის წიგნის წარდგინებაზე მისულ სტუმრებს. ამ შესანიშნავი წიგნის ბოლოსიტყვაობა-ტკბილმოგონებაც ხომ მათი დედიკოს თბილი სიტყვებით აკინძული იმ ლამაზი დღეების გახსენებაა, როდესაც ძერწვაშეყვარებული ერეკლეს თანატოლობისდროინდელი დღეები ჰქვია და დღევანდელობამდის მოდის.

მოვა ის დროც, როდესაც იტყვიან თემო ნაცლიშვილი თამთა ნაცვლიშვილის დიდი პაპა იყოო, თუნდაც პაატა-მამა თამთა ნაცვლიშვილისაო... იმ დღესაც მოვესწრებით ერეკლე და ნიკო, სულ სხვაგვარი თვალით, რომ დაგვანახებენ ნაცვლიშვილთა გენის გენიას... ღმერთმა ქნას!

*   *   *

**და აი... როგორც პაატა იტყვის – ჰოდა, წიგნის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით... მადლობა მათ... მადლობა პაატა... მადლობა თეიმურაზ (თემო) ნაცვლიშვილის მემკვიდრეებს... მადლობა დიდ მექანდაკოვნეს!!!**

**მამუკა ვაშაკიძე**

**P.S. ამ წერილს ჩემთვის უკმარისობის გრძნობა აქვს, უფრო წიგნი ენციკლოპედიის წარდგენაა. არადა როგორ მსურს მამაშვილობის თემოპაატასეული ურთიერთობის წარმოჩენა, ასრერიგად რომ ესალბუნება ჩემს გულს – იქნებ ნაადრევად წასული მამის სიყვარულმა და მასთან ურთიერთობამ მომანატრა, ამგვარად გადავიხადო ვალი მშობლის ხსოვნის წინაშე, როგორც ჩემმა უფროსმა მეგობარმა პაატა ნაცვლიშვილმა შეძლო.**

**ჰოდა, მომავალ შეხვედრამდე ნაცვლიშვილთა სამყაროში...**

# სისადავის სიდიადე

**ბიბლიური სწავლების მიხედვით, ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქვეშე, მათ შორის, ჟამი შობისაი და ჟამი სიკვდილისაი. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, სააღდგომო მარხვის დღეებში მოიწია ჟამი ილია მეორის გარდაცვალებისა და მუხლჩაუხრელი შრომით დამაშვრალი მწყემსმთავარი, 93 წლის ასაკში, ქრისტესმიერი მორჩილებით განეშორა ცოდვა-მადლიან წუთისოფელს. ვიცოდით, განა არ ვიცოდით, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 141-ე პატრიარქი განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, თუმცა ისეთი საყოველთაო თაყვანისცემა, რომლის მომსწრენიც მთელი მსოფლიო გახდა, მაინც წარმოუდგენელი იყო!**

**ყოველგვარი პათეტიკისა და გაზვიადების გარეშე უნდა ითქვას, რომ მისმა უწმინდესობამ ბიბლიური მოსეს შორსმჭვრეტელობით გამოატარა ქართველი ერი ეპოქალურ ქარტეხილებში და თვალშეუდგამ სიმაღლეზე აიყვანა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯი – ქართული სამოციქულო ეკლესია. მიყვარხარ საქართველოო, ჩვეული გულწრფელობით ამბობდა პატრიარქი და მიყვარხარ პატრიარქოო, ასეთივე გულწრფელობით ვეუბნებოდით მადლიერი ქართველები, სულიერ წინამძღოლს.**

**ასაკოვანი და ჯანმრთელობაშერყეული ილია მეორის საზოგადოებრივი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად ამაღლდა მსოფლიოს სატანისტური ძალების მიერ თავსმოხვეული კოვიდპანდემიის პირობებში, როცა მისმა უწმინდესობამ მტკიცე ხასიათი გამოავლინა და ეკლესია-მონასტრების დაკეტვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რაც სამოქალაქო გმირობის ტოლფასი ქმედება იყო.**

სხვა ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ასეთი პრინციპული პოზიცია იყო ის უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა გულწრფელი მწუხარება კონსერვატულად განწყობილ საერთაშორისო საზოგადოებაში, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის გარდაცვალების გამო. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი, რომის პაპი ლეო მე-14, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯებ ტაიფ ერდოღანი და ათეულობით სხვა სახელმწიფოთა მაღალი თანამდებობის პირები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ილია მეორე იყო ეპოქალური მნიშვნელობის პიროვნება, რომლის ღვაწლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

ასეთი ერთსულოვნების ფონზე რა მოსატანია, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ითქვას იმ თითო-ოროლა ვიგინდარების შესახებ, რომლებმაც პირში დაგროვილი გესლი ერთბაშად ამოანთხიეს, შხამიანი ასპიტებივით.

მართალია, პატრიარქის მიმტევებლობაზე ლეგენდები დადიოდა საქართველოში, მაგრამ ძნელი ამოსაცნობი არ ყოფილა, თუ როგორ ტკენდა გულს უმადურობის, სიცრუის, ამპარტავნების ყოველგვარი გამოვლინება, ვისგანაც არ ველოდებოდი მტრობას და ღალატს, იქ ვნახე ღალატიო, დანანებით თქვა მისმა უწმინდესობამ.

რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა გამორჩეული ადამიანების ბედი! აკი, თვით მაცხოვარმა ვერ აიცილა თავიდან ღალატი: რომელი ჭამდა ჩემ თანა პურსა, მანვე აღიღო ჩემ ზედა ბრჭყალი თვისიო! ეკლესიის წიაღში ჩაბუდებულ იუდას სულიერ მემკვიდრეებზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ გულწრფელად მაინტერესებს, ნუთუ სინდისის ქენჯნას არ განიცდის ნულოვანი პოლიტიკური რეიტინგის მქონე ის „ევროოპტიმისტი“, ქართულ სუფრაზე პატრიარქის დღეგრძელობის გამო რომ წუხდა და ფარისევლობაში გვდებდა ბრალს თავისი მოკლე ჭკუით და გრძელი ენით?!

კაცს რომ სიცხე უთავბოლოდ ალაპარაკებს, იმას ბოდვას ეძახიან ჩვენშიო, მოსწრებულად შენიშნავდა აკაკი წერეთელი. ეს გონებამახვილური შეფასება შეიძლება მივუსადაგოთ უსამშობლო ნაციონალების იდეოლოგიით დაბანგულ ასაკოვან ქალბატონს, რომელმაც, გარდაცვალებამდე თვენახევრით ადრე, „ილია ვტაროი“ უწოდა მის უწმინდესობას და საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს ინტერესების გატარებაში დასდო ბრალი.

გონიერება ტვინის განვითარებაა, მაგრამ მორალის განვითარება არ ხდება – იგი ადამიანს ან აქვს, ან არაო, წერდა ავლიპი ზურაბაშვილი, ქართული ფსიქიატრიის მამამთავარი, რომლის კვალიფიკაციასა და კომპეტენციაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია!

ფერწერისა და ხატწერის ღვთითბოძებულ ნიჭთან ერთად, ილია მეორეს პროფესიულ დონეზე ჰქონდა განვითარებული ბგერის კულტურა, რომლის გარეშე მაღალი გემოვნების მუსიკალური პროდუქტის შექმნა წარმოუდგენელია. ვისაც მისი საგალობელი „ავე მარია“ მოუსმენია, მარტივად მიხვდება, თუ რატომ აღაფრთოვანებს ეს ნაწარმოები მსმენელს, როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე ვატიკანის საკათედრო ტაძარში!

ცალკე მსჯელობის საკითხია პატრიარქის ეპისტოლეები, რომლებიც ცალკე წიგნად არის გამოცემული და ფართო შესაძლებლობას იძლევა ანალიტიკური განსჯისათვის.

თავს უფლებას მივცემ, მოვიტანო ამონარიდი 2011 წლის საშობაო ეპისტოლედან, რომელმაც ძირეულად შეცვალა ჩემი წარმოდგენა პიროვნულ სიამაყესა და თავმდაბლობასთან მიმართებაში:

**„თავმდაბლობას მოვიპოვებთ, თუ სიმშვიდითა და ღირსებით შევხვდებით ქებასაც და დამცირებასაც, სიხარულსაც და ტკივილსაც, უსამართლობასა და შეურაცხყოფას. ჩვენი შინაგანი სამყარო ისე უნდა წარვმართოთ, რომ სხვა ჩვენზე უკეთესად, უფრო გონიერად და უპირატესად მიგვაჩნდეს, ჩვენ მიერ აღსრულებული კეთილი საქმეები კი, უფლის წყალობად და არა საკუთარ დამსახურებად. თუ ასე მოიქცევით, მაშინ შეიმუსრება ჩვენი სიამაყე და პატივმოყვარეობა და მის ადგილზე თავმდაბლობით მოპოვებული ღვთის მადლი დაივანებს.“**



ცოდვა გამხელილი სჯობია და, პატრიარქის ასეთმა მამაშვილურმა დარიგებამ ისე ამაფორიაქა სულიერად, ჩემთვის უჩვეულო ფორმით – ლექსით ვცადე გამომეხატა გულწრფელი პატივისცემა მისი უწმინდესობის მიმართ:

დგას ამბიონზე უწმინდესი, მადლით მოსილი,
ლოცვას აღავლენს მამულისთვის და რწმენით გვავსებს,
ჭეშმარიტ სიბრძნეს მეტყველებენ ბაგენი მისი,
უფლის სიყვარულს გვიქადაგებს სიკეთის გზაზე.
ცით კურთხეული პატრიარქის სათნო ღიმილი
სულს დაგიამებს, დაგამშვიდებს, ტკივილს მოგირჩენს,
მისი ხატება მოგაგონებს ბიბლიურ ფრესკას,
ღვთის სადიდებლად რომ შეუქმნია სანდრო ბოტიჩელს.
მადლობა უფალს, მოგვევლინა რაკი ზეკაცი,
სათნო, კეთილი, ღვთის მოშიში, ზეციურ ნათლით,
მისი სახელის სადიდებლად აღვავლენთ ლოცვას,
საკურთხეველთან რომ დავდგებით ანთებულ სანთლით.
ფარისეველთა თვალთმაქცობას ვხედავთ ხილულად,
იუდას ამბორს ემსგავსება მავანთა ლიქნი,
უფალს შევთხოვოთ უწმინდესის დღეგრძელად ყოფნა,
ვისი იმედიც გვასულდგმულებს, გვიჭირს თუ გვილხინს.
მჯერა, დაიცავს მამაღმერთი ზეცით პატრიარქს,
მწამს, ღვთისმშობელიც გადმოხედავს მოწყალე თვალით,
რომ კვლავ წარგვიძღვეს უფლისაკენ მიმავალ გზაზე,
ლოცვა-კურთხევით, სინანულით და ქრისტეს ჯვარით.

მოგეხსენებათ, ერთია სურვილები და მეორეა ის ულმობელი რეალობა, რომლის წიაღში ყველა ჩვენგანი აღმოვჩნდებით ამქვეყნიური ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთში. ისიც კარგად მოგვეხსენებოდა, რომ სამყაროში მარადიული არაფერია და ადრე თუ გვიან, დასრულდებოდა ის მზიანი ღამე, რომელიც სიმბოლურად თან გასდევდ ილია მეორის პატრიარქობის 49-წლიან პერიოდს.

მამული, ენა, სარწმუნოება იყო ის სამი ღვთაებრივი საუნჯე, რომლისადმი ერთგულებას მოითხოვდა ჩვენგან ილია ჭავჭავაძე. ღმერთი, სამშობლო, ადამიანი ასევე არის ის სამი ღვთაებრივი საუნჯე, რომლის ერთგულებაზე გვაფიცებდა მისი უწმინდესობა.

თქვენი მონა-მორჩილის მოკრძალებული აზრით, ეს გახლავთ ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის უნიკალური ფორმულა, რომელიც გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ თითოეულმა ჩვენთაგანმა, ვისთვისაც ძვირფასია მიწიერი სამოთხე, საცხოვრისად რომ გამოგვიყო სამყაროს შემოქმედმა.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ თამაზ კვაჭანტირაძის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მხოლოდ ილია მეორე, არამედ მეორე ილიაა საქართველოსთვის, ამიტომ მის სპეტაკ სახელს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობები.

ეს რომ ასე იქნება და არა სხვანაირად, ამის გარანტიას მაძლევს მისი უწმინდესობის 50 ათასი ნათლული, რომლებმაც თეთრი ვარდებით მიაგეს პატივი ნათლიას ხსოვნას და რომელთა შორის, ჩემი სამი შვილიშვილიც იკავებდა საპატიო ადგილს!

**პოეტმა დავით მაღრაძემ, ერთ-ერთ ინტერვიუში გამოიყენა უაღრესად ტევადი შინაარსის სიტყვათშეთანხმება „სისადავის სიდიადე“, რომელიც ორგანულად მიესადაგებოდა მისი უწმინდესობის პიროვნებას და ამიტომაც მივეცი თავს უფლება, წერილის სათაურში გამომეტანა იგი.**

იურისტების ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდი ერთსულოვანი იქნება გადაწყვეტილებაში და ილია მეორე აუცილებლად ჩაირიცხება წმინდათა დასში, რათა ზეციური საქართველოდან შეეწიოს სათაყვანებელ სამშობლოს, რომლის გაერთიანება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო, ჩუნეში.**

# ვინც ტერორიზმის მომხრეა, სიკვდილს ირჩევს!



**ამ კვირაში, ქნესეთმა ერთი სადავო კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, ისრაელის მკვიდრის მკვლელობაში ბრალდებული პალესტინელი სიკვდილით დაისჯება. გამოდის, ისრაელის საკანონმდებლო ორგანომ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა ოფიციალურად დააკანონა. ვამბობ, ოფიციალურად, რადგან სიკვდილით დასჯა, ისრაელში, ტექნიკურად, ყოველთვის არსებობდა, თუმცა, ქვეყნის ისტორიის მანძილზე, მხოლოდ ორჯერ იყო გამოყენებული: ერთ ასეთ შემთხვევას 1962 წელს ჰქონდა ადგილი, როცა ნაცისტი სამხედრო დამნაშავე, ჰოლოკოსტის არქიტექტორი, ადოლფ-აიჰმანი სიკვდილით დასაჯეს იმის შემდეგ, მსგავსი რამ არასოდეს არ მომხდარა.**

კანონის მიღებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. თავად ქნესეთში, კანონის მიღებას 12-საათიანი კამათი უძღოდა წინ. ამ ახალი კანონის სულისჩამდგმელი ულტრამემარჯვენე პარტია და მისი ლიდერი იტამარ ბენ-გვირი გახლავთ. ასეთი კანონის მიღება ულტრამემარჯვენეთა დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ პრემიერ-მინისტრი **ბენიამინ ნეთანიაჰუ** ეწინააღმდეგებოდა მას. ახლა, პრემიერმა საკითხზე აზრი შეიცვალა და ულტრა-მემარჯვენეებს დაუჭირა მხარი. ბოლოს, 62 ხმით 48-ის წინააღმდეგ ქნესეთმა კანონი მიიღო. უფლებადამცველებმა, ისრაელშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც, კანონი მწვავედ გააკრიტიკეს.

ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამ ღრმა შეშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ კანონმა, შესაძლოა, ძირი გამოუთხაროს ისრაელის ერთგულებას დემოკრატიული პრინციპების მიმართ. პალესტინის ხელისუფლებამ, რომელიც დასავლეთ სანაპიროს მართავს, კანონი დაგმო და განაცხადა, რომ ამ კანონის მიზანი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, სიკვდილით დასჯის ლეგიტიმაციაა.

ისრაელის სამოქალაქო უფლებების ასოციაციამ ქვეყნის უზენაეს სასამართლოში პეტიცია შეიტანა, რომლითაც კანონის გაუქმება მოითხოვა. „კანონი არაკონსტიტუციურია. გაეროს ექსპერტთა ჯგუფისა და ჩვენი ექსპერტების აზრით, ის შეიცავს ტერორიზმის ბუნდოვან განმარტებებს, რამაც, შეიძლება, სიკვდილით დასჯის დაწესება გამოიწვიოს ისეთი ქმედებებისთვის, რომელიც, თავისთავად, არ არის ტერორისტული“, განაცხადა ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა.

**ბენ გვირმა და მისი პარტიამ კი, შამპანურის ბოთლი გახსნეს და კანონის მიღება იზეიმეს. ეს სამართლიანი დღეა მსხვერპლთათვის, განაცხადა ბენ გვირმა, და შეკავების დღე ჩვენი მტრებისთვის. ვინც ტერორიზმის მხარესაა, სიკვდილს ირჩევს. ბენ გვირმა კანონის მიღება შვიდი ოქტომბრის ტერორისტული აქტის დროს დაღუპულებს და მათ ოჯახებს მიუძღვნა. როგორც, ბოლო სოციალური გამოკითხვა ადასტურებს, ისრაელის მოსახლეობის 70 პროცენტი ახალ კანონს მხარს უჭერს. ფაქტობრივად, კანონს 100-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს ტერაქტებში დაღუპულთა ახლობლებში.**

მათი აზრით, ახლა, პალესტინელი ტერორისტი ათასჯერ დაფიქრდება, ვიდრე ტერაქტზე წავა. კანონის სასარგებლოდ ერთ-ერთი ცენტრალური არგუმენტი „მბრუნავი კარის“ ფენომენია. ათწლეულების განმავლობაში, ისრაელი მსჯავრდებულ ტერორისტებს გაცვლითი გარიგებების გზით ათავისუფლებდა. გაცვლის მასშტაბები კი, უზარმაზარია. სწორედ აქ კონკრეტდება კანონის მომხრეთა ლოგიკა: ტერორისტი არ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სავაჭრო საგანი. მისი გათავისუფლება ან მძევლად გაცვლა არ შეიძლება მოხდეს საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ, ასეთია მათი არგუმენტი.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კანონის კრიტიკოსები არა მხოლოდ ისრაელის ადამიანთა უფლებების დამცველები, არამედ, ისრაელის სამხედრო და დაზვერვის სპეციალისტებიც არიან. ადამიანთა უფლებების დამცველების აზრით, ეს კანონი, ფაქტობრივად, მხოლოდ პალესტინელებს სჯის და არა ისრაელის სხვა მოქალაქეებს. თეორიულად, კანონი, შეიძლება, ისრაელის მოქალაქეებზეც გავრცელდეს, თუმცა, პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევებშია გათვალისწინებული, როცა თავდასხმის მიზანი „ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უარყოფა“ არის. ისრაელში გასამართლებული პატიმრებისთვის სიკვდილით დასჯა, შეიძლება, სამუდამო პატიმრობით შეიცვალოს. კანონის კრიტიკოსი დაზვერვის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სიკვდილით დასჯილი ტერორისტი, პალესტინაში, შესაძლოა, აღიარონ როგორც წამებული, რამაც, არ არის გამორიცხული, რადიკალიზაცია გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ისრაელის სადაზვერვო სამსახურები მუდამ ითვალისწინებდნენ ამ არგუმენტს და საჯაროდ სიკვდილით დასჯის ნაცვლად, ოპერაციების დროს, მკვლელობებს ამჯობინებდნენ. ახლადმიღებული კანონი ამ პრაქტიკას ცვლის. ის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს ყველასთვის, ვინც „განზრახ გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის უარყოფის მიზნით“.

**მოკლედ, ამ კანონის მიღება, ისრაელის უსაფრთხოებისა და სამართლიანობისადმი მიდგომაში, მნიშვნელოვან ცვლილებას აღნიშნავს. სიკვდილით დასჯის, როგორც უკიდურესი ზომის, ნაგულისხმევ ვარიანტზე გადასვლა დანაშაულის შეკავებისკენ მიმართულ უფრო მკაცრ პოზიციას ასახავს.**

# სოციალური მედია ძალიან მავნებელია!

**რამდენიმე დღის წინ, ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში, სასამართლომ ისტორიული განაჩენი გამოიტანა – Meta და YouTube დამნაშავედ სცნო. შეგახსენებთ, მედია გიგანტი მეტა, Instagram-ს, Facebook-სა და WhatsApp-ს ფლობს. YouTube-ის მფლობელი კი, Google-ი გახლავთ. სასამართლო პროცესი იანვარში დაიწყო.**

მომჩივანი ახალგაზრდა ამერიკელი ქალი იყო, რომელიც ამ მედია პლატფორმებს, ბავშვობაში, სოციალურ მედიაზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში სდებდა ბრალს. მისი თქმით, დამოკიდებულებამ მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენა, გაუჩნდა სხეულის დისმორფული და ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს აკვიატებული იდეა, რომ საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილი ან, ზოგადად, გარეგნობა უკიდურესად ნაკლოვანია და, შესაბამისად, ადამიანი ცდილობს, ის დამალოს ან გამოასწოროს.




სასამართლომ, საჩივრის განხილვის დროს, პირადად დაიბარა კომპანია „მეტას“ ხელმძღვანელი, მარკ ცუკერბერგი და Instagram-ის უფროსი, ადამ მოსერი. მათ წინააღმდეგ ბრალდებები ორივემ უარყო, მაგრამ სასამართლომ ეს კომპანიები მაინც დამნაშავედ სცნო და კომპენსაციის სახით, სამი მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. ამასთან, კომპანიებმა, დამატებით, სამი მილიონი დოლარის ოდენობის საჯარიმო სანქციებიც მიიღო. ეს არ არის არც პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი სასამართლო სოც-მედიის წინააღმდეგ. მანამდე, Meta-ს წინააღმდეგ მსგავსი ვერდიქტი ნიუ-მექსიკოს შტატშიც გამოიტანეს, სადაც კომპანიას 375 მილიონი დოლარის გადახდა არასრულწლოვანთა მიმართ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო დაეკისრა. თავდაპირველად, ახალგაზრდა ქალბატონი TikTok-სა და Snap-საც ედავებოდა, თუმცა, აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელესთან მორიგება, მათ სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოახერხეს. უფრო ადრე, კალიფორნიის სასამართლომ, ორი ამგვარი საქმე განიხილა. დავა ეხებოდა ფუნქციებს, რომელიც ინდუსტრიის სტანდარტებს წარმოადგენს: არხის უსასრულო გადახვევა, ვიდეოს ავტომატური გაშვება, რეკომენდაციების ალგორითმები, შეტყობინებები, რომელიც მომხმარებელს რეაგირებისკენ მოუწოდებს.

მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ეს ფუნქციები განზრახ ქმნის სოც მედიაზე დამოკიდებულებას და ზრდის აპლიკაციებში გატარებულ დროს. სასამართლომ აღიარა, რომ ეს ყველაფერი ზიანის მომტანია. რა თქმა უნდა, სოც-მედია გიგანტები განაჩენს არ ეთანხმებიან და სხვა ინსტანციებში ჩივიან. ადრე, ტექნოლოგიური კომპანიები კომუნიკაციის შესახებ ამერიკული კანონის 230-ე მუხლს ეყრდნობოდნენ, რომელიც პლატფორმას კონტენტზე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. ახალი სასამართლო გადაწყვეტილება კი, პლატფორმების მექანიზმების წინააღმდეგ მიმართული დავების წამოწყებას, მწვანე შუქს უნთებს. როგორც ჩანს, მსოფლიოში და კერძოდ ამერიკაში, გაჩნდა სოც-მედია გიგანტების წინააღმდეგ ჩივილის ტენდენცია, რასაც თამბაქოს კომპანიების წინააღმდეგ სარჩელებს ადარებენ.

შედარება შემთხვევითი არ არის. შეგახსენებთ, რომ 1990-იან წლებში, თამბაქოს კომპანიების წინააღმდეგ მასშტაბური სასამართლო პროცესები იმართებოდა. აღმოჩნდა, კომპანიებმა იცოდნენ, რომ მათი პროდუქცია მავნე იყო და დამოკიდებულებას იწვევდა, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ მის პოპულარიზაციას.

**მსგავსი რამ ხდება ახლაც: სასამართლოები სოციალურ მედიას მომხმარებლებისთვის ზიანის მომტან მოვლენად მიიჩნევენ.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

### დონალდ ტრამპი:
## მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ირანთან!



**შეერთებული შტატები მჭიდროდ ითანამშრომლებს ირანთან, რომელმაც, ჩვენი აზრით, ძალიან პროდუქტიული რეჟიმის ცვლილება განიცადა** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა.

**აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ირანის მხრიდან ურანის გამდიდრება არ მოხდება.**

**„შეერთებული შტატები მჭიდროდ ითანამშრომლებს ირანთან, რომელმაც, ჩვენი აზრით, ძალიან პროდუქტიული რეჟიმის ცვლილება განიცადა! ურანის გამდიდრება არ მოხდება და შეერთებული შტატები, ირანთან თანამშრომლობით, ამოთხრის და მოაშორებს ღრმად დამარხულ ბირთვულ „მტვერს“. ის ახლა და დღემდე ძალიან მკაცრი თანამგზავრული მეთვალყურეობის ქვეშაა (კოსმოსური ძალები!). თავდასხმის დღიდან არაფერი შეცვლილა. ჩვენ ირანთან ტარიფებისა და სანქციების შემსუბუქებაზე ვსაუბრობთ და მომავალშიც განვაგრძობთ მოლაპარაკებებს. 15 პუნქტიდან ბევრი უკვე შეთანხმებულია“...**




# IFC 23: მაყაშვილის ტრიუმფი, ღვინიაშვილის სწრაფი ფინიში და ქართველთა დომინაცია

**თბილისის სპორტის სასახლემ შერეული ორთაბრძოლების გულშემატკივრებს კიდევ ერთი დასამახსოვრებელი საღამო აჩუქა. IFC-ს რიგით 23-ე ღონისძიება დინამიკური ბრძოლებითა და ქართველ მებრძოლთა შთამბეჭდავი გამოსვლებით გამოირჩა.**

საღამოს ფარგლებში 9 დაპირისპირება გაიმართა, რომელშიც ჯამში 18 სპორტსმენი მონაწილეობდა. განსაკუთრებული ინტერესი ქართველ მებრძოლებზე იყო გამახვილებული – ოქტაგონში 7 ქართველი გამოვიდა და მათგან უმეტესობამ გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ 9-დან 8 ბრძოლა პირველივე რაუნდში დასრულდა, რაც ღონისძიებას კიდევ უფრო სანახაობრივს ხდიდა. ერთადერთი ქართველი, რომელმაც გამარჯვებას ვერ მიაღწია, ცოტნე სულთანიშვილი იყო. მან ქამრისთვის ბრძოლა ტაჯიკ მეტოქესთან ხუთრაუნდიან დაპირისპირებაში დათმო.

საღამოს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ზექა ღვინიაშვილის გამოსვლა გახდა. გამოცდილმა ქართველმა მებრძოლმა ორგანიზაციაში მეორე ბრძოლა ჩაატარა და მეტოქე წუთზე ნაკლებ დროში, საბმიშენით დაამარცხა, რაც მისი კლასისა და გამოცდილების კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო.

მთავარ ბრძოლაში ლევან მაყაშვილმა ბრაზილიელი ჰელიო ლილი პირველივე რაუნდში, ასევე საბმიშენით დაამარცხა და ჩემპიონობის ქამარი საქართველოში დატოვა. მაყაშვილი ისტორიული ფიგურაა ქართული MMA2-სთვის. ის პირველი ქართველია, რომელმაც UFC-ში იბრძოლა, და მისი დაბრუნება საქართველოში, 14-წლიანი პაუზის შემდეგ, გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა აღმოჩნდა.

შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს ასევე ლაშა მესხმა, რომელმაც მეტოქე 40 წამში დაამარცხა, გიორგი ეგნატაშვილმა, ნოდარ კუდუხაშვილმა და რაფაელ მოვსესიანმა. თითოეულმა მათგანმა მაყურებელს თავი ეფექტური და დამაჯერებელი გამოსვლით დაამახსოვრა.

IFC 23 კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო შერეული ორთაბრძოლების ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ჰაბია, ხოლო ქართველი მებრძოლები საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიანი სპორტსმენები არიან. მსგავსი ღონისძიებები არა მხოლოდ სპორტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არამედ ახალ თაობასაც აძლევს მოტივაციას, საკუთარი ძალები MMA-ში მოსინჯოს.



# ძვირფასი გამოცდილება

**ლელო რაგბის გვირგვინია, გარდასახვა კი აუცილებელი ატრიბუტი. ამიტომ დასანანია, მეტოქის ჩათვლის მოედანს 5-ჯერ რომ აიღებ და მეორე კომპონენტი დაგალალატებს.**

საფრანგეთის კურორტ ვიშში მიმდინარე 6 ერის ფესტივალზე მრისხანე ინგლისმა და 18-წლამდელმა ბორჯღალოსნებმა ერთმანეთს 5-5 ლელო დაუდეს, მაგრამ ვინაიდან რაგბის სამშობლომ ყველა გარდასახა, ჩვენ კი მხოლოდ 3, ამიტომაც დავმარცხდით, მაგრამ...

დიახ, მიუხედავად უარყოფითი შედეგისა, საამაყოდ მაინც გვაქვს საქმე, რადგან თითქმის უიმედო ვითარებაში 10:35-ზე ბიჭებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და ცოტა დააკლდათ ძლევაი საკვირველამდე, თუმცა, მეორეს მხრივ, ვერაფერი აწონის იმ ძვირფას გამოცდილებას, ელიტურ ტურნირებში მონაწილეობით რომ იძენენ. ასეა თუ ისე, ახალი სამწვრთნელო შტაბი გიორგი ნემსაძის თავკაცობით უკვე თვითონაც იმაღლებს კლასს.

### საქართველო-ინგლისი 31:35

**საქართველო**: ხაზი-კუპრეიშვილი, ცხვედიანი, ბერიძე, ხამაშურიძე, ლაგვილავა, ლიპარტელიანი, გაგუა.

**შერკინება**-მერებაშვილი, გოგრიჭიანი, გიორგობიანი, ხარებავა, ჯინჭველაშვილი, სუთიაშვილი, ჯანგულაშვილი, ბერუაშვილი(კაპიტანი).

**მარქაფა**-გამყრელიძე, ბერძენიშვილი, ღუდუშაური, ქევანიშვილი, შულაია, ხონელიძე, მგალობლიშვილი, მახარაძე, მამაიაშვილი, ჭაბუა, ფანცულაია.

**ლელო:** ცხვედიანი, მერებაშვილი, ღუდუშაური, ჭაკუა, გამყრელიძე.

**გარდასახვა**: ჭაკუა(2), მახარაძე.

**6 ერის ფესტივალის დასკვნით ბრძოლას 11 აპრილს თბილისის დროით 13 საათზე შოტლანდიასთან გავმართავთ, რომელმაც ჩვენსავით ორივე შეხვედრა წააგო იტალიასთან და უელსთან.**

# კარგი ამბები

## ფარიკაობა

**რიო დე ჟანეირო (ბრაზილია). კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატი 12 ქართველის მონაწილეობით.**

ხმალი. **ვერცხლი** – გიორგი ურუშაძე. თანატოლთა შორის ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ფინალური ბრძოლა ამერიკელ აიდინ ძისთან დათმო – 10:15, მანამდე კი ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაამარცხა უკრაინელი, ბულგარელი, ბელარუსი, კორეელი, კანადელი და უნგრელი მეტოქეები, ხოლო შემდეგ პლეი-ოფში სძლია ვენესუელელ, ბერძენ, კორეელ, კანადელ და ნახევარფინალში – რუმინელ მუშკეტერებს.

## წყალბურთი

**უკვე გაუწყეთ, რომ სლოვაკეთში დაწყებული დუნაბეს თასის გათამაშების სტარტზე რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა კანადელებს 17:11 სძლია.** ჯვაროსნებმა დარჩენილი 2 მატჩიც მოიგეს – მსოფლიოს თასის მომავალი ფინალური ეტაპის ორგანიზატორ ავსტრალიასთან – 17:9 და მასპინძლებთან – 18:16, რამაც ტურნირის მთავარი პრიზი მოუტანათ.

გუშინ ჩვენი გუნდი მალტაში ზემოთ ნახსენები ფორუმის საგზურის დასაუფლებლად მე-2 დივიზიონის შესარჩევ რაუნდში თურქეთთან თამაშით ჩაება – 16:17, მეორე შეხვედრა კი ბრაზილიას პენალტების სერიაში მოუგო – 17:15 (ძირითადი დრო 12:12)

## ფეხბურთი

**ბულგარეთი. უეფას განვითარების თასის გათამაშება 16-წლამდელთა შორის.** ბულგარეთი – საქართველო 2:2 (პენალტებით – 5:3). **თორნიკე კვარაცხელია** – გოლი და ასისტი. უმცროსმა კვარამ 2 შედეგიანი გადაცემა ტურნირის ჯგუფური რაუნდის სტარტზე სამხრეთ აფრიკასთან 3:1 მოგებულ მატჩშიც შეასრულა.

## ძიუდო

**განჯა (აზერბაიჯანი).** ევროპის კადეტთა თასის გათამაშება. საქართველოს ნაკრები – 2 მედალი. **ოქრო** – გიორგი კაპანაძე. **ვერცხლი** – ვაჟა გენგაშვილი.



# ტიტანთა აკადემია

**ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის რეალი და მიუნხენის ბაიერნი 29-ედ(!) შეხვდნენ ერთმანეთს, რაც ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირის რეკორდია.** მართალია, სამეფო კლუბი განვლილი ბრძოლების შემდეგ მცირე უპირატესობას ფლობდა (13 მოგება, 4 ფრე და 11 წაგება), მაგრამ მეტოქეთა ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბევრს ფავორიტად ნაადრევ ფინალად მიჩნეულ პლეი-ოფში ბავარიული გრანდი მიაჩნდა, რომლებმაც ტოპ-5-ის ქვეყნების გუნდებიდან ბუნდესლიგაში პირველებმა გადაკვეთა 100-გოლიანი ზღვარი. როგორც ირკვევა, საფუძვლიანადაც.

### რეალი-ბაიერნი1:2

**გოლები:** მბაპე; დიასი, კეინი.

**ვერავინ** იტყვის, რომ სტუმრებმა დაუმსახურებლად გაიმარჯვეს–პირიქით, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ისინი აკონტროლებდნენ თამაშს და, თუ ობიექტურნი ვიქნებით, მეტი სხვაობითაც უნდა მოეგოთ პირველი რაუნდი. ბუნებრივია, სანტიაგო ბერნაბეუზე მრისხანე მასპინძელთა ბეჭებზე დადება უკვე გმირობაა, მაგრამ ასეთ ფონზეც კი გამორჩეული გახლდათ რეკორდმაისტერის 40 წლის მეკარე მანუელ ნოიერი.

ასეა თუ ისე, ბაიერნმა დიდი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მეორე მხარეს ვარსკვლავური რეალია!

### სპორტინგი-არსენალი 0:1.

**გიორგი ქოჩორაშვილი** ბოლომდე რეზერვში დარჩა

* * *

### კრისტალბეთ ეროვნული ლიგა.

**მე-6 ტური.** ტორპედო-დინამო 0:0, რუსთავი-ბათუმი 3:0, დილა-გაგრა 1:1, იბერია-სამგურალი 2:1, მეშახტე-სპაერი 0:0.

**სატურნირო ცხრილი:** სპაერი, იბერია-10, სამგურალი-8, რუსთავი, ტორპედო, დილა-7, ბათუმი, დინამო, მეშახტე-6, გაგრა-5ქულა.




# კვანძის გახსნის წინ

**ხვალ მონტე-კარლოში დიდი ბრძოლაა ქართველთა მონაწილეობით–ევროლიგის რეგულარული საკალათბურთო სეზონის ბოლოსწინა ტურში მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილი მონაკო ყოფნა-არყოფნის მატჩში თორნიკე შენგელიას ბარსელონას უმასპინძლებს და გამარჯვებული, დიდი ალბათობით , პლეი-ოფის საგზურს მოიპოვებს.**

რამდენიმე კვირის წინათ კატალონიელებს თავი ქუდში ჰქონდათ, მაგრამ ლიდერთა მოჭარბებულმა ტრავმიანობამ ვითარება მათთვის უარყოფითად შეცვალა.

### ბარსელონა-პანათინაიკოსი 79:93

უშუალო კონკურენტთან პრინციპულ ჯახში მარცხი ძირითადად წამყვან გამთამაშებელთა-სატორანსკისა და ლაპროვიტოლას არყოფნამ განაპირობა.

რაც შეეხება შენგელიას, მისი ღირსეული პირადი მონაგარი ამჯერად წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა–22 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა და 1 ასისტი.

**ლიდერთა ჯგუფი:** ოლიმპიაკოსი-12, ვალენსია, ფენერბახჩე, ჰაპოელი-13, რეალი-14, პანათინაიკოსი, ცრვენა ზვეზდა, მონაკო-16 წაგება.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 62 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი კოლორიტული კალათბურთელი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „ვითასა“ და ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი**



## ზურაბ ტომარაძე

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**



# პლასტმასის ბოთლების რეგულაციის ამოქმედება ოთხი წლით გადავადდება

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პლასტმასის ბოთლებში სასმლის წარმოების, იმპორტისა და ბაზარზე განთავსების რეგულაციის ამოქმედება ოთხი წლით გადავადდება.**

აღნიშნულის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

**„როგორც მოგეხსენებათ, პლასტმასის მოხმარება ზიანს აყენებს როგორც ადამიანების ჯანმრთელობას, ისე გარემოს. რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა პლასტმასის მოხმარების შემცირების მიმართულებით. ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ ამ პროცესთან დაკავშირებული გვერდითი ფაქტორები, მათ შორის არის ბიზნესის სუბიექტური ინტერესები, ასევე კონკრეტული რეგულაციების შესაძლო გავლენა სამომხმარებლო ფასებზე. ბიზნესსექტორთან გვქონდა აქტიური კონსულტაციები. მადლობა ამისთვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს. კონსულტაციების შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, პლასტმასის ბოთლებში სასმლის წარმოების, იმპორტისა და ბაზარზე განთავსების რეგულაციის ამოქმედება გადავავადოთ ოთხი წლით, 2031 წლის პირველ თებერვლამდე“...**

# პროკურატურა ჯუანშერ ბურჭულაძისთვის 2.5 მილიონი ლარის ღირებულების ქონების ჩამორთმევას ითხოვს

**თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძისა და მასთან ერთად დაკავებული თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის გიორგი ხაინდრავას, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ვლადიმერ ღუდუშაურის, ასევე ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლისძმის ვასილ მხეიძის სასამართლო პროცესი გაიმართა.**

პროკურატურა **ჯუანშერ ბურჭულაძეს**, მის მოადგილე **გიორგი ხაინდრავას** და ბურჭულაძის ცოლისძმას **ვასილ მხეიძეს** საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარს ეუბნება და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას ითხოვს.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს **ვლადიმერ ღუდუშაურს**, მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდება.

ამასთან, ჯუანშერ ბურჭულაძის ადვოკატის, ხათუნა ხურცილავას თქმით, მას აქვს მოლოდინი, რომ შემდეგ პროცესამდე მხარეები საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე შეთანხმდებიან და პროკურატურის დღევანდელი განცხადება, რომ მხოლოდ ვლადიმერ ღუდუშაურის მიმართ ითხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, საბოლოო არ არის.

**„მიმდინარეობს მოლაპარაკება და ვფიქრობთ, რომ 16 რიცხვამდე პასუხს მივიღებთ. ეს საბოლოო უარი არ არის. პროკურატურა ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ 16 რიცხვამდე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდება. საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ ზიანის ანაზღაურებისა და საპროცესო პირობების შესრულებისთვის“,** – განმარტა ხათუნა ხურცილავამ.

ამასთან, პროკურორ ანი ლეკიაშვილის თქმით, ჯუანშერ ბურჭულაძეს უნდა ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, მათ შორის ესპანეთში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული სახლი, ასევე საქართველოში, დაბა წყნეთში მდებარე სახლი და მასთან დაკავშირებული ფართები.

**„ბრალდების მხარე ითხოვს, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, როდესაც საქმეში არსებობს უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება და რომელიც გამოყენებულია, მათ შორის ფულის გათეთრებისა და უკანონო ქონების ლეგალიზების მიზნით, აღნიშნული ქონება უნდა ჩამოერთვას ბრალდებულს. შესაბამისად, ბრალდების მხარემ მოითხოვა ჯუანშერ ბურჭულაძის მხოლოდ იმ ქონების ჩამორთმევა, რომელიც კონკრეტულად ეხება აღნიშნულ გარემოებებს. ეს არის ნუშის ბაღებში მდებარე სახლი და მათ შორის ესპანეთში შეძენილი ქონება. ჩამორთმეული ქონების საერთო ღირებულება დაახლოებით 2.5 მილიონს შეადგენს“,** – განაცხადა პროკურორმა.



**ცნობისთვის,** თავდაცვის ყოფილ მინისტრს **ჯუანშერ ბურჭულაძეს** ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით წარედგინა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას გულისხმობს. აღნიშნული ქმედება სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12- წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ბურჭულაძეს საერთო ჯამში 1 593 212 ლარის უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციას ედავებიან. ბრალის მიხედვით, ჯუანშერ ბურჭულაძემ 2023 წელს მისი მოადგილის, ნათესავისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დახმარებით, სამხედრო ჰოსპიტალს სამედიცინო აპარატი 2 606 272 ლარის ნაცვლად, 3 940 000 ლარად მიაწოდა, რის შედეგადაც, სამინისტროს 1 333 728 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა.**

**ასევე, 2025 წლის მარტში ჯუანშერ ბურჭულაძემ და მისმა მეუღლემ ესპანეთში 544 000 ევროდ ქონება შეიძინეს. აღნიშნულის წარმოშობის დამალვის და შენიღბვის მიზნით, ამ ქონებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, მათ მესამე პირთან დაბა წყნეთში მდებარე უძრავი ქონების ფიქციური ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს.**

რაც შეეხებათ, **ვლადიმერ ღუდუშაურსა** და **გიორგი ხაინდრავას,** მათ დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვას ედავებიან, **ვასილ მხეიძეს** კი გაფლანგვაში დახმარებას.

**მათ ბრალი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის და გაფლანგვაში დახმარების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აქვთ წარდგენილი, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**




# ირანს მოლაპარაკებებზე დათანხმება ჩინეთმა აიძულა?!

**აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ჩინეთმა აიძულა ირანი, მოლაპარაკებებს დათანხმებოდა,** – ინფორმაციას ამის შესახებ საერთაშორისო მედიასაშუალებები „ფრანს პრესზე“ დაყრდნობით ავრცელებენ.

სააგენტოსთან სატელეფონო საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ მისი აზრით, პეკინმა ირანი დაარწმუნა მოლაპარაკებებზე და აღნიშნა, რომ თეირანის გამდიდრებულ ურანზე „იდეალურად იზრუნებენ“.

**„სრული და სრული გამარჯვება, 100 პროცენტით, ამაში ეჭვი არ მეპარება“,** – განუცხადა **ტრამპმა** „ფრანს პრესს“ მოკლე სატელეფონო საუბრისას, როდესაც ჰკითხეს, მიიჩნევდა თუ არა საკუთარ თავს გამარჯვებულად ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

**„ჩვენ გვაქვს 15-პუნქტიანი შეთანხმება, რომლის უმეტესობაზეც შეთანხმება მოხდა. ვნახოთ, რა მოხდება. ვნახოთ, მიაღწევს თუ არა ეს შეთანხმება წარმატებას“,** – აღნიშნა **ტრამპმა.**

ამასთან, შეკითხვას, მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, განიხილავდა თუ არა ირანის სამოქალაქო ელექტროსადგურებისა და ხიდების განადგურებას, ტრამპმა პირადპირი პასუხი არ გასცა.

**„თქვენ მას ნახავთ“,** – განაცხადა **ტრამპმა.**

# თეირანის მიერ შემუშავებული ცეცხლის შეწყვეტის 10-პუნქტიანი გეგმა

**გეგმა ითვალისწინებს ჰორმუზის სრუტის გახსნას, ირანის აღსადგენად ხარჯების ანაზღაურებასა და რეგიონში ყველა კონფლიქტის დასრულებასაც.**

ამასთან, გეგმის თანახმად, ირანი ბირთვული იარაღის ფლობას არ ეცდება.

**კერძოდ, გეგმა შედგება შემდეგი პუნქტებისგან: ომის სრული შეწყვეტა ერაყში, ლიბანსა და იემენში; ირანის წინააღმდეგ ომის სრული და მუდმივი შეწყვეტა, ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე; რეგიონში ყველა კონფლიქტის სრულად დასრულება; ჰორმუზის სრუტის ხელახალი გახსნა; ჰორმუზის სრუტეში ნავიგაციის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პროტოკოლისა და პირობების დადგენა; ირანისთვის რეკონსტრუქციის ხარჯების სრულად ანაზღაურება; ირანის წინააღმდეგ სანქციების მოხსნის სრული ვალდებულება; შეერთებული შტატების მიერ დაკავებული ირანის სახსრებისა და გაყინული აქტივების გათავისუფლება; ირანი სრულად იღებს ვალდებულებას, რომ არ შეეცდება ბირთვული იარაღის ფლობას; ზემოაღნიშნული პირობების დამტკიცებისთანავე ყველა ფრონტზე დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტა ამოქმედდება.**

მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა, **დონალდ ტრამპმა** განაცხადა, რომ აშშ-მა ირანისგან 10-პუნქტიანი წინადადება მიიღო, რაც მოლაპარაკებების საფუძველია. ირანულმა მხარემ კი აღნიშნა, რომ პარასკევიდან პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში აშშ-თან მოლაპარაკებები დაიწყება.

# განცხადება

**2026 წლის 13 მაისს,** 13 საათზე გაიმართება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:

**1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის 2025 წლის სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ.**

**2. სახელმწიფოს მიერ თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივისთვის უკანონოდ ჩამორთმეული უძრავი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.**

**3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებების დამტკიცების შესახებ.**

**4. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წესდების ახალი რედაქციის, სადამფუძნებლო შეთანხმების, სარეგისტრაციო მონაცემების განხილვა – დამტკიცების შესახებ.**

**5. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.**

მისამართი: თბილისი, იუმაშევის ქ. 51

**კოოპერატივის გამგეობა**

# განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს **მარიამ კვარაცხელიასთან,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28,** მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2024 წლის 16 სექტემბერს გარდაცვლილი მოქალაქე იური ფესენკოს (დაბადებული 1965 წლის 11 მაისს (პ/ნ: 61004053538) გარდაცვალების მოწმობა N77247007809)) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, თბილისის ქუჩა N9-ში, საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებული ბინა N6-ის 19,20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (ს/კ: 20.48.01.522.01.006) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.**

სანთელი



# სატყეო საქმის დიდი ქომაგი

## აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ხსოვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა აგრარული დარგის გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს დამსახურებული მეტყევე და საქართველოს საყოველთაოდ ცნობილი მეტყევეთა სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აკადემიკოს თ. დავითაიას სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ ჩაგელიშვილი.**

ქართველი აგრარიკოს-მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს ტყეების დიდი მოამაგის, აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

ბატონმა რევაზ ჩაგელიშვილმა 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი, სატყეო ინჟინრის სპეციალობით. 1962 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტში. 1968 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1985 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ქ. კრასნოიარსკის ვ. სუკაჩოვის სახელობის ტყისა და მერქნის ინსტიტუტის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი მდიდარი შრომითი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება გახლდათ. სატყეო ინსტიტუტში შრომითი საქმიანობა მან უფროსი ლაბორანტის პოზიციიდან დაიწყო, ამას მოჰყვა უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობა. 1976 – 1991 წლებში ხელმძღვანელობდა ტყის სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების შემსწავლელ ლაბორატორიას, იყო ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტყის საპრობლემო საბჭოს „ეკოლოგიის“ სექციის თავმჯდომარის მოადგილე. ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა საკავშირო მნიშვნელობის თემებს სამთო მეტყევეობის აქტუალურ საკითხებზე. მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების შესწავლის მიზნით 10 წლის განმავლობაში აწარმოებდა კვლევებს ავსტრიის ქ. ვენის სატყეო ფედერალური ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად.

1991 წელს ბატონი რევაზი აირჩიეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც ბუნების დაცვისა და ზოგადი მეტყევეობის კათედრაზე კითხულობდა ლექციებს ეკოლოგიასა და ბუნების დაცვაში.

1994 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წელს – ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

1991 წლის მაისიდან 2004 წლის აპრილამდე აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი გახლდათ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე.

2016 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2023 წლამდე.

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი ბრძანდებოდა 164 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის, 11 სახელმძღვანელოს და 1 რეკომენდაციის ავტორი. მისი ნაშრომები ძირითადად ეხებოდა მეტყევეობის, ტყეთმცოდნეობის, სატყეო ჰიდროლოგიის, ტყის ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საკითხებს. მონოგრაფიას „მთის ტყეების ზვავსაწინააღმდეგო დაცვითი ფუნქცია და თოვლის ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“ 1984 წელს მიენიჭა აკად. თ. დავითაიას სახელობის პრემია.

ბატონი რევაზის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, ფონურ დატენიანებასა და ვერტიკალურ სარტყელიანობასთან დაკავშირებით საქართველოს განსხვავებული ნიადაგურ - კლიმატური პირობების მქონე ცალკეულ რეგიონებში მოეწყო ხანგრძლივი სტაციონარული კვლევის მრავალი ობიექტი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რევაზ ჩაგელიშვილის მიერ დადგინდა აღმოსავლეთ საქართველოს არასაკმაო დატენიანებისა და დასავლეთის ჭარბტენიან პირობებში სხვადასხვა ტყიანობის პროცენტის მქონე წყალშემკრები აუზებიდან მყარი და თხიერი ჩამონადენის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. განისაზღვრა საქართველოს მთის ტყეების ოპტიმალური ტყიანობა სხვადასხვა რეგიონებისათვის.

რ. ჩაგელიშვილის მიერ მცირე წყალშემკრები აუზების დონეზე დამუშავებული ტყის ჰიდროლოგიური, ფიტოცენოლოგიური, გეომორფოლოგიური კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ეკოლოგიური ფუნქციების შესრულების მხრივ წყალშემკრები აუზების მისეულ კლასიფიკაციას. ცალკეული კლასებისათვის დამუშავებული იქნა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მთის ტყეების გარემოზე დადებითი ზემოქმედების გაძლიერების თვალსაზრისით, ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენენ.

მან პირველმა შეისწავლა სხვადასხვა სისტემის ჭრების გავლენის შედეგები მთის ტყეების ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ფუნქციებზე, დაასაბუთა ნიადაგის ფიზიკური და წყალმართვი თვისებების დაქვეითების მახასიათებლები ჭრაგავლილ კორომებში დროის ასპექტში და ამ თვისებების აღდგენის ხანგრძლივობის პარამეტრები ეკოსისტემებში.

აკადემიკოს რ. ჩაგელიშვილის მიერ შემუშავებული იქნა ორიგინალური მეთოდი ზვავსაწინააღმდეგო ტყის მასივების დაცვითი ფუნქციების შესაფასებლად. ამ მიმართებით წარმოებული ხანგრძლივი კომპლექსური კვლევის მასალებზე დაყრდნობით დადგენილი იქნა სისტემის „ტყე – თოვლის ზვავები“ ზღვრული კონკრეტული მნიშვნელობები, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულად განისაზღვროს ტყის დაცვითი მასივების ზვავსაწინააღმდეგო მდგრადობა და სხვ.

რ. ჩაგელიშვილი გახლდათ არა მარტო ნიჭიერი მკვლევარი, არამედ ახალგაზრდა თაობის, მომავალი მეცნიერული კადრების საუკეთესო აღმზრდელიც. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცული იქნა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ზემოაღნიშნულის გარდა აკადემიკოსი რ. ჩაგელიშვილი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერების განყოფილებასთან არსებული აგრარულ მეცნიერებათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოს წევრი, იმავე აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების ეროზიულ, ღვარცოფულ და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის სამეცნიერო საბჭოს წევრი; ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედკოლეგიის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი და სხვ.

ბატონი რევაზი დაჯილდოებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, ბრძანდებოდა ექსპერტი სატყეო საქმის დარგში და საქართველოს საპატიო მეტყევე.

იგი გახლდათ შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა შესანიშნავი მამულიშვილი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და კოლეგების ხსოვნაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

არდავიწყება

# გივი (კოტე) ემუხვარი



სრულიად საქართველოს ძირძველ გვარიშვილთა კოჰორტას გამოაკლდა შესანიშნავი ადამიანი, დიდი ოჯახის შვილი და თვითონაც შესანატრი ქართული ოჯახის ღირსეული მეუღლე, მამა, ბაბუა და საგვარეულოს გამორჩეული კოლორიტი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ეკონომისტი **გივი (კოტე) ემუხვარი.**

გივი ემუხვარი დაიბადა 1946 წელს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში და მიიღო ეკონომისტ-ბუღალტრის კვალიფიკაცია, 1971 წელს წარჩინებით დაასრულა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობით.

1965-72 წლებში მუშაობდა გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეკონომისტად, ფინანსისტად, უფროს ეკონომისტად.

როგორც პრინციპული, წარმატებული და პერსპექტიული ახალგაზრდა, 1972 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამუშაოდ გადმოიყვანეს თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში. აქ ის მუშაობდა ჩაისა და ციტრუსების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, განყოფილების უფროსად, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სამმართველოს ხელმძღვანელად.

1986 წელს გადაიყვანეს საქართველოს სახალხო კონტროლის (შემდგომში კონტროლის პალატის) სისტემაში. აქ იგი გამოირჩეოდა საქმის დიდი ერთგულებით, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით და უმწიკვლო რეპუტაციით.

1991-97 წლებში გივი ემუხვარი იყო კომერციული ფირმა „ალაზნის“ დირექტორის მოადგილე. შემდგომ ისევ მიიწვიეს კონტროლის პალატაში წამყვან სპეციალისტ-კონტროლიორად, სადაც დაჰყო 2004 წლამდე. 2010-1017 წლებში გივი ემუხვარი კერძო ბიზნესშია, იყო ფირმა „აისის“ დირექტორი.

სადაც არ უნდა ემუშავა ამ ზნემაღალ, გულმართალ, სიკეთითა და სიყვარულით სავსე კაცს, ყველგან–თანამშრომლებთან, მეგობრებთან, ახალგაზრდობასთან ურთიერთობის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებდა.

გივი ემუხვარი იყო უაღრესად ერუდირებული ადამიანი, დაინტერესებული გახლდათ ლიტერატურით, ხელოვნებით, დიდი ქართული მწერლობით...

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 12 სამეცნიერო წიგნის ავტორი, თავად წერდა აგრეთვე შესანიშნავ პუბლიცისტურ წერილებსაც. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მისმა სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში დაწერილმა პატარა წიგნებმა – „სინგაპური – სამოთხე დედამიწაზე“ და შვილიშვილებისადმი მიძღვნილი ნარკვევი – „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ბედნიერი ქვეყნები“...

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი გონიერი და სულით ძლიერი ქართველი, მუდამ დაუვიწყარი სახელოვანი მამულიშვილი!

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა გივი ემუხვარის ნათელ სულს!

**ოჯახი, მეგობრები,**
**ემუხვარების საგვარეულო.**

---

მეუღლე ნონა ჩემინავა, შვილები ირაკლი, მარიამ, რუსუდან ემუხვარები, ძმა ნოდარი, და ლიანა ემუხვარები, ელდარ ემუხვარი, შვილიშვილები კონსტანტინე ემუხვარი, მარი, ლიკა ნეფარიძეები, რძლები ნინო გოგლიძე, გულნაზ ბასარია, ძმისწულები თამარ, ლევან, ნინო ემუხვარები, დისწულები თემურ, კახა გოგოხიები, მძახლები თემურ, ანა გოგლიძეები.

ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## გივი (კოტე) ემუხვარი

განსვენებულის მისამართი: დიღმის მასივი, მე-4კვ. მე-16-კორპ. მე-2 სადარბაზო.

გამოსვენება შაბათს, 11 აპრილს,14 საათზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივში, დიდუბის ხიდთან წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

---

ნელი, ზაურ და სალომე ფხალაძეები ღრმა მწუხარებით სამძმარს ვუცხადებთ უახლოეს მეგობარს ნოდარ ემუხვარს ძმის

## გივი ემუხვარის

გარდაცვალების გამო.



# მუნიციპალური სასაფლაოების მიმართულებით 12-13 აპრილს ავტობუსის ცხრა დროებითი მარშრუტი დაწესდება

**დედაქალაქში მუნიციპალური სასაფლაოების მიმართულებით, ტრადიციულად, 12-13 აპრილს დაწესდება ავტობუსის ცხრა დროებითი მარშრუტი,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, აღნიშნული მარშრუტებით მოქალაქეები ორი დღის განმავლობაში უფასოდ ისარგებლებენ.

**„ავტობუსები მგზავრებს 08:00-დან 20:00 საათამდე მუხათგვერდის, ვაშლიჯვრის, კუკიის, ახალი კუკიის, მახათას, საბურთალოს, ღრმაღელის, ველისა და ვარკეთილის სასაფლაოების მიმართულებით გადაიყვანენ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპეციალური მარშრუტები იმოძრავებს მეტროსადგურებიდან: „მარჯანიშვილი“, „დელისი“, „სარაჯიშვილი“, „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიიდან, ასევე, „დიდუბის“ ზედა გასასვლელიდან, სადგურის მოედნიდან („თბილისი ცენტრალის“ პირდაპირ), ბესარიონ ჟღენტის ქუჩიდან (კორპუსი N25-ის პირდაპირ) და ვარკეთილის III მასივიდან – შუამთისა და აბაშვილის ქუჩების გადაკვეთიდან“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

თბილისის მერის განმარტებით, 11 აპრილის ღამით თბილისის მეტრო გახანგრძლივებული დროით იმოძრავებს.

**„აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 11 აპრილის ღამით თბილისის მეტრო გახანგრძლივებული დროით იმოძრავებს, 12-13 აპრილს კი ავტობუსების სპეციალური მარშრუტები დაინიშნება. მოქალაქეების შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით მეტრო 12 აპრილის 04:00 საათამდე იმუშავებს და 11 აპრილის 23:00-დან 12 აპრილის 04:00 საათამდე მგზავრობა უფასო იქნება“** , – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

# ისტორიული კუკუშკა კვლავ მწყობრში ჩადგება

**„რკინიგზას დაემატება თბილისი-ქუთაისის მიმართულება. აგვისტოში დასრულდება თბილისი-ბათუმის რკინიგზის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც გადაადგილების დრო ხუთ-ნახევარი საათიდან შემცირდება 4 საათამდე, 1.5 საათით შევამცირებთ მგზავრობის დროს თბილისიდან ბათუმამდე.**

ასევე, აგვისტოში **დასრულდება თბილისი-ახალციხის რკინიგზის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც აღდგება აღნიშნული რეისი, რომელიც გაუქმებული იყო 2009 წლიდან და გადაადგილების დრო, ძველ დროსთან შედარებით, ექვსი საათიდან შემცირდება 3 საათამდე.**

ასევე, **მივიღეთ გადაწყვეტილება და ეს არის გეგმის ნაწილი – ბორჯომ-ბაკურიანის ისტორიული მატარებლის, ე.წ. კუკუშკის რეაბილიტაციის თაობაზე. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება როგორც მატარებელს, ისე სარკინიგზო ინფრასტრუქტურას, განხორციელდება ხუთი შესაბამისი სარკინიგზო სადგურის რეაბილიტაცია.**

**ეს ხაზიც იყო 2020 წლიდან გაჩერებული და, გეგმის მიხედვით, მატარებელი მომავალი წლის იანვრიდან მოემსახურება ჩვენს მოქალაქეებს და ჩვენი ქვეყნის სტუმრებს, ტურისტული თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის ამ ხაზის აღდგენას“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე.**



# წყნეთში 10 000 კვ.მ ფართობზე დასასვენებელი სივრცე განახლდება

**წყნეთში, ამილახვრის N23-ში, დაახლოებით, ერთ ჰექტარ ფართობზე, დასასვენებელი სივრცე განახლდება,** – ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** განაცხადა.

**„გამწვანებულ ტერიტორიაზე განთავსდება ორი საბავშვო-გასართობი მოედანი სხვადასხვა ატრაქციონით, სპორტის მოყვარულთათვის კი მოეწყობა ორი ფიტნეს ზონა, სადაც ტრენაჟორები და მაგიდის ჩოგბურთი დამონტაჟდება. გარდა ამისა, მოეწყობა მოსასვენებელი პავილიონი, პანდუსი ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის, სასმელი წყლის შადრევანი, დამონტაჟდება განათებისა და სარწყავი ქსელები, ასევე, დაიდგმება საპარკე საქანელა სკამები.**

**უსაფრთხოების მიზნით, ტერიტორიაზე ვიდეოკამერები განთავსდება. ამასთანავე, მოეწყობა სავალი ბილიკები, დაიგება ბალახი და დაირგვება მცენარეები. განახლებული სივრცე იქნება ძალიან ლამაზი. დარწმუნებული ვარ, სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღნიშნული სივრცით უამრავი ადამიანი ისარგებლებს“,** – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.



# იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ 150 წლისაა

**14 აპრილს, 15:00 საათზე, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.**

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული „დედა ენის“ გამოცემები – პირველიდან თანამედროვეობამდე.

**ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაბეჭდილი 1876 წლის „დედა ენის“ ხელახალი გამოცემაც. წიგნი გამორჩეულია იმით, რომ ის დიმიტრი ყიფიანის ნაქონია და თითქმის ყველა გვერდს მისივე ხელით მიწერილი კომენტარები ერთვის. ღონისძიებაზე ამ წიგნის პრეზენტაციაც გაიმართება. „დედა ენა“ არ არის მხოლოდ წიგნი – ეს არის ქართული სულის, ენისა და კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი. იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი ეს უნიკალური ნაშრომი საუკუნეზე მეტია, რაც თაობებს აზიარებს ქართული ენის სილამაზეს, სიწმინდესა და ძალას. „დედა ენა“, რომელიც პირველად 1876 წელს გამოიცა, იქცა იმ საფუძვლად, რომელზედაც უამრავმა ქართველმა ბავშვმა ისწავლა კითხვა, წერა და საკუთარი ქვეყნის ქართული ენა ჩვენი ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ენა გვაკავშირებს ჩვენს ისტორიასთან, ტრადიციებთან და ერთმანეთთან. „დედა ენა“ კი ამ კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და მტკიცე ხიდია – წიგნი, რომელმაც არაერთი თაობა გააერთიანა საერთო სიტყვითა და აზრით.**




**ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაბეჭდილი 1876 წლის „დედა ენის“ ხელახალი გამოცემა არის პატივის მიგება დიდი მასწავლებლისადმი და იმ ფასეულობებისადმი, რომელიც მან დაგვიტოვა. თითოეული გვერდი გვახსენებს, რომ ენა არის ჩვენი ძალა, ჩვენი სახე და ჩვენი მომავალი“,** – წერს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი **კონსტანტინე გამსახურდია** გამოცემის ჩანართში.

# იაპონიაში ქართული ღვინის ცნობადობა იზრდება

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, იაპონიაში, ჰოკაიდოს პროვინციის დედაქალაქ საპოროში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა,** – ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

დეგუსტაციას „Red Bridge“-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში უძღვებოდა. წარდგინება მოიცავდა ინფორმაციას ქართული მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ტრადიციების, ვაზის ძირითადი ჯიშებისა და თანამედროვე ქართული ღვინის ინდუსტრიის განვითარების შესახებ. ღონისძიებაზე ქართული ღვინის შესახებ ისაუბრა იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **თეიმურაზ ლეჟავამ.** მსგავსი ფორმატის ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო პარტნიორული კავშირების განმტკიცებაში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს როგორც ექსპორტის ზრდას, ასევე წარმოების სტანდარტებისა და მარკეტინგული სტრატეგიების დახვეწას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აძლიერებს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 15 აპრილს